# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 2 მარტი 2005 №45 (2368) ფასი 50 თეთრი




## კანკავა და ალანია სამ წელზე მორიგდნენ

ვლადიკავკაზის „ალანია“ და ჯაბა კანკავა მაინც მორიგდნენ. გუშინ დილით ჩვენებურმა სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა ოსურ კლუბთან.

შეგახსენებთ, რომ კანკავას ალანიური ტრანსფერი ჩაშლის პირას იყო — ჯაბამ ოსების მიერ შეთავაზებული ხუთწლიანი ხელშეკრულება იუარა და „დინამოში“ დაბრუნებას აპირებდა, თუმც ოსებმა დათმობაზე წასვლა არჩიეს და პირობები შეცვალეს.

მოკლედ, ახლა კანკავა სრულფასოვანი ალანიელია.



## ნავა რონალდო რეალიდან?

### ბრაზილიელს ბრაზილიელმა ვერ გაუგო

8

# ცხრილში დაწევას ყურის აწევა ჯობიაო

*ვინ აუწევს ყურს გია გეგუჩაძეს? ისე, ჯობია, ყური თავად აიწიო მანამდე, ვიდრე სხვა და უფრო მწარედ აგიწევს. გეგუჩაძეს და მის „დინამოს“ ახლა ყველაზე უფრო გამოცოცხლება სჭირდებათ, თორემ ფული და ფეხბურთელები ნამდვილად არ უჭირთ.*

*გუშინ „დინამომ“ ზედიზედ მეორე თამაში წააგო ეროვნულ ჩემპიონატში და რაც სეზონი განახლდა, ოთხ თამაშში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.*

*გუშინ „დინამომ“ იმ „თბილისთან“ წააგო, მეორე ეტაპისთვის გუნდიდან 12 ფეხბურთელი რომ გაუშვა და აქედან ხუთი „დინამომ“ აიყვანა...*

*თუმც გეგუჩაძის „დინამოს“ ამჯერად ანტირეკორდი არ მოუხსნია, ბეწვზე გადარჩა — 1999-2000 წლების ჩემპიონატში ოთარ კორღალიძის „დინამომ“ ზედიზედ ოთხი მატჩი ისე ითამაშა, გოლი არ გაუტანია. გორის „დილა“ კი თამაშზე არ გადიოდა, მოთელვასაც უგანა, მაგრამ ბოლო წამს მაყურებლის ხათრით მაინც გატყდა.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 13 | 3 | 5 | 41:21 | 42 |
| თბილისი | 21 | 12 | 4 | 5 | 42:25 | 40 |
| ტორპედო | 21 | 11 | 7 | 3 | 33:14 | 40 |
| ვიტ ჯორჯია | 21 | 10 | 5 | 6 | 35:25 | 35 |
| ლოკომოტივი | 21 | 7 | 10 | 4 | 27:18 | 31 |
| ზესტაფონი | 21 | 8 | 2 | 11 | 19:37 | 26 |
| ბათუმი | 21 | 6 | 7 | 8 | 24:19 | 25 |
| კოლხეთი | 21 | 6 | 5 | 10 | 21:27 | 23 |
| სიონი | 21 | 6 | 2 | 13 | 20:44 | 20 |
| დილა | 21 | 2 | 3 | 16 | 13:44 | 9 |






## ინგლისი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩები
როჩდეილი 2:0 გრიმსბი
ნორთჰემპტონი 1:1 იოვილი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
სტივენეიჯი 0:1 მორეკემბი
ალდერშოტი 2:1 ექსეტერი
იორკი 2:1 ბარნეტი
ლეი — ძონვი გადაიდო
სკარბორო — ტემუორთი გადაიდო
ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება
ბრენტფორდი 1:3 *საუთჰემპტონი*
შეფილდი 0:0 (პენ.2:4) *არსენალი*
*ბლექბერნი* 2:1 ბარნლი

## გერმანია

თასის მეოთხედფინალი
ბაიერნი (მ) 0:3 *ვერდერი*
*არმინია* 1:0 ჰანზა
*შალკე* 3:1 ჰანოვერი

## თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
დიარბაქირი 0:1 *გალათასარაი*

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XXVI ტური
ბარსელონა 0:0 ესპანიოლი

## უკრაინა

უმაღლესი ლიგა. XVI ტური
ილიჩევეცი 0:1 შახტარი
მეტალურგი (დ) 1:0 არსენალი
ტავრია 2:1 ბორისფენი
ვოლინი 3:0 ზაკარპატია
ვორსკლა 1:0 მეტალურგი (ზ)
ჩერნომორეცი 2:1 მეტალისტი
დნიპრო 3:0 ობოლონი
დინამო 2:0 კრივბასი

## რუსეთი

თასის 1/8 ფინალი. I მატჩები
ტორპედო 3:0 მეტალურგი (ლ)
მოსკოვი 1:3 ცსკა

## შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი
როსი 0:1 სენტ მირენი
მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ბერვიკი 1:2 სტრანრარი
დამბარტონი 1:1 ბრეჩინი
ფორფარი — მორტონი გადაიდო
ალოა — სტირლინგი გადაიდო
მესამე დივიზიონი
გადადებული
მატჩები
მონტროუზი 4:1 ისტ სტირლინგი
ალბიონი 0:4 ქუინზ პარკი
პიტერჰედი 3:0 ელგინი

## საფრანგეთი

თასის მერვედფინალი
*კლერმონი* 1:1დ.დ.(პენ.4:3, 1:1) ლიონი
*ნიმი* 4:0 ნიცა
*სედანი* 2:0 კევილი

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

# საქართველოს XVI ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
21 ტური

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

თბილისი. 1 მარტი. 14 საათი. ეროვნული. 1 500 (ტევადობა 70 900)

### დინამო 0:1 თბილისი

0:1 ფიფია (10)

**დინამო:** მამალაძე, დ. ოდიკაძე, ხილაგაძე, სალუქვაძე, რომერო (კანდელაკი 79), ნემსაძე (კ. მახარაძე 71), გ. ნუგ. ჭელიძე, ბაბუნაშვილი (დვალი 71), ჯამარაული, მელქაძე, კაკალაძე
*სათადარიგონი:* შეყრილაძე, შაშიაშვილი, ორბელაძე, ლ. ჭელიძე
**მწვრთნელი:** გია გეგუჩაძე

**თბილისი:** გრიშიკაშვილი, ლოლაძე, ქემოკლიძე, მიქიაშვილი, ფოფხაძე, შ. ჯიქია (ბოჭორიძე 90), მინ ჩოი, მესხი, აფციაური, რ. ბარაბაძე (კვარაცხელია 89), ფიფია
*სათადარიგონი:* ჯინჭარაძე, მიქელაძე, დევდარიანი, ფირანიშვილი
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (24), რომერო (77), ხილაგაძე (90)

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია



# რა ხდება დინამოში?
## გეგუჩაძემ თავდასხმა დაიჩივლა, თბილისმა მინ ჩოი იშოვნა

**კობა ინასარიძე**

**„დინამოს“** თავკაცს პრობლემები რომ მომრავლებია, გუშინდელმა მატჩმაც დაგვანახა. გია გეგუჩაძის შეგირდებმა სეზონის განახლებიდან მეოთხედ ითამაშეს და მესამედ წააგეს, ამჯერადაც 0:1. სათქმელია, რომ „დინამომ“ ამ ოთხ შეხვედრაში სულ ერთი გოლის გატანა მოახერხა და ისიც შემთხვევით, ლევან მელქაძის დარტყმული „სიონის“ მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა.

გუშინდელი მატჩი კი თავიდან ბოლომდე „დინამოს“ აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ რად გინდა... გოლს ვინ ჩივის, მასპინძლებს, გოჩა ჯამარაულის დარტყმულს თუ არ ჩავთვლით, „თბილისის“ კართან საგოლედ რეალური მომენტიც არ ჰქონიათ. სტუმრებს პირიქით, გოლის გარდა სამი-ოთხი ნაღდი შანსიც გაუცუდდათ და, საერთოდ, მოედანზე დატრიალებული ამბების გათვალისწინებით, „თბილისის“ მოგება ლოგიკური უნდა იყოს.

„დინამომ“ ამ ერთი თვის წინ „თბილისიდან“ გადაბირებული ორი ფეხბურთელი, მცველი დავით ოდიკაძე და ნახევარმცველი გიორგი ჭელიძე ათამაშა. თავის მხრივ კი, „თბილისს“ ძირითადში ორი ახალბედა, შუახაზელი გიორგი ფოფხაძე და ფორვარდი რევაზ ბარაბაძე ჰყავდა.

მოკლედ, ვერ ვიტყვით, რომ გუნდები ჩემპიონატის პირველი ეტაპისგან აშკარად განსხვავებული შემადგენლობებით შეეტოქნენ ერთმანეთს. არადა, პირველ წრეში „დინამო“ — „თბილისის“ მატჩები „ეროვნულზე“ „დინამომ“ 4:1 მოიგო, „ოლიმპზე“ კი „თბილისმა“ 5:0.

გუშინდელი ერთადერთი გოლი კი „თბილისს“ შერჩენილმა გოგა ფიფიამ მატჩის დასაწყისშივე, მე-10 წუთზე შეაგდო. კუთხურიდან თორნიკე აფციაურის ჩაწოდებულს სტუმართა ფორვარდმა თავი შეაგება, ბურთი მცველებს შუა გაძვრა და ზურაბ მამალაძის ზურგსუკან აღმოჩნდა.

მერე უკვე „დინამომ“ მარწუხებს მოუჭირა, „თბილისმა“ კი ერთი-ორად გაამაგრა დაცვა. სტუმრებმა მეტოქეს ცენტრი მთლიანად დაუთმეს და კარის წინ მძლავრი ჯებირი აღმართეს, რაც, მოგვიანებით აღმოჩნდა, „დინამოსთვის“ დაუძლეველი გამოდგა. ზემოთ ნახსენებ ჯამარაულის მომენტისას კი სოსო გრიშიკაშვილმა იყოჩაღა და ბურთი ცხრიანიდან კუთხურზე გადააგდო.

შესვენების შემდეგ თამაში ახალგანახლებული იყო, როცა „თბილისს“ ზედიზედ ორჯერ შეეძლო კიდევ უფრო დაწინაურება, მაგრამ ჯერ შოთა ჯიქიას თავური აცდა მამალაძის კარს, წუთშივე კი ფიფიას უმტყუნა მიზანმა. ერთი მომენტი ბარაბაძესაც ჰქონდა, კორეელმა მინ ჩოიმ მას გონივრული პასი გაუკეთა, თუმც ფორვარდმა ველარ ივარგა. რადგან მინ ჩოი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ეს კორეელი ბიჭი თავისი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი ყოფილა, გუშინ კი „დინამოს“ პრობლემები არ დააკლო. ცაკარიასს ის შესვენებამდე მარჯვენა ფლანგზე ჰყავდა გამწესებული, მეორე ტაიმში კი შუისკენ შესწია და თავი არც იმ პოზიციაზე შეურცხვენია.

„დინამოს“ კი, უამრავი მცდელობის მიუხედავად, სახეირო არაფერი გამოსვლია. მის შეტევებს სიმწყობრე და სიმწვავე აკლდა, სტუმარი მცველებიც დაზღვევაზე გონივრულად თამაშობდნენ, საქმე მოგებამდე მიიყვანეს და „დინამოს“ ხელმძღვანელობა ერთხელაც ჩააფიქრეს. ჩვენ კი კითხვა დაგვიტოვეს — რა ხდება „დინამოში“?

*ლუის ცაკარიასი:* „რა თქმა უნდა, შედეგითაც და თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ. ვიცოდით, რომ „დინამო“ დიდი ძალებით შემოგვიტევდა და ამიტომ აქცენტი დაცვაზე და კონტრშეტევებზე გავაკეთეთ. კარგია, რომ გუნდმა მთელი მატჩი ორგანიზებულად ჩაატარა და სათამაშო დისციპლინა ბოლომდე შეინარჩუნა.“

*გია გეგუჩაძე:* „ძნელია, როცა მთელი თამაშისას უპირატესობა შენია და გოლი ვერ გაგაქვს. უფრო ძნელი კი ასეთი თამაშის წაგებაა. აშკარაა, რომ „დინამოს“ თავდასხმაში პრობლემები აქვს, თუმც გოლის გატანა სხვა ფაქტორებზეც არის დამოკიდებული. ისე კი, ჩვენ რომ გამოგვადგება, ისეთ ფორვარდს დღესაც ვეძებთ. აგერ, ბრაზილიელი გვყავდა ჩამოყვანილი, მაგრამ უკან გავაბრუნეთ.“



თბილისელმა მინ ჩოიმ „დინამოს“ ბევრი თავსატეხი გაუჩინა

# უეფამ ათენში ზონდი ჩაუშვა
## პანიონიოსი — დინამო გრძელდება

**გუშინ** საღამოს უეფას წარმომადგენლები ათენში ჩავიდნენ, რათა შარშან, 1 დეკემბერს გამართულ უეფას ჯგუფური ეტაპის მატჩის, „პანიონისი“ — „დინამოს“ გამოძიებას შეუდგნენ.

ტოტალიზატორები ჯერ კიდევ შარშან ითხოვდნენ უეფასგან ამ მატჩის გამოძიების დაწყებას, რადგან დიდი ფული წააგეს — მეფსონეებმა მხოლოდ შედეგი კი არა, ანგარიშიც (5:2) გამოიცნეს და დიდძალი თანხაც მოხსნეს. აქედან გაჩნდა ეჭვი, რომ „პანიონისი“ — „დინამო“ გარიგებული იყო.

წლეულს გერმანელი მსაჯი რობერტ ჰოიზერი რომ ამხილეს მეფსონეებთან გარიგებაში, მან ახლახან ისიც დაფქვა, მავანი მაფიოზი მეფსონეები „პანიონიოს“ — „დინამოთიც“ გამდიდრდნენო, რამაც იმპულსი გაუძლიერა უეფას, „პანიონიოს“ — „დინამოს“ გამოძიებას მეტი ყურადღებით მოჰკიდებოდა.

უეფას მოხელეები ათენში „პანიონიოსის“ ფეხბურთელებს და კლუბის ოფიციალურ პირებს დაკითხავენ და საბერძნეთის სამართალდამცავ ორგანოებსაც შეხვდებიან.

**ლუკა თალაკვაძე**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVI ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
21 ტური

# ზესტაფონი მარტმა დაცადა

ზესტაფონი. 1 მარტი. 14 საათი. ცენტრალური. 6 000 (ტევადობა 10 000)

## ზესტაფონი 1:1 ლოკომოტივი

1:0 ზირაქიშვილი (9), 1:1 ალავერდაშვილი (87)

| ზესტაფონი | ლოკომოტივი |
|---|---|
| ზესტაფონი: ქვაჩახია, ჩიკვილაძე, ძამსაშვილი, ს. თოდუა, ნუდნი (ჩხეტიანი 62), გუჩუა, ბესარაშვილი (განუგრავა 77), მაჭავარიანი, გ. თურმანიძე, იონანიძე, ზირაქიშვილი. სათადარიგონი: მამარდაშვილი, ბ. ნოზაძე, სულაკაძე, გვარუციძე, ბ. გოცირიძე. მწვრთნელი: თემურ მახარაძე | ლოკომოტივი: სტურუა, სითურიძე, გიგაური, მახვილაძე, სანიკიძე, რამონი (ლაცაბიძე 31), მანჩხავა (დოფხაძე 75), ლ. ქებაძე, მძინარიშვილი, ბობოხიძე (ალავერდაშვილი 46), სირბილაძე. სათადარიგონი: გვარამაძე, მაკაროვი, ფეანი, კირვალიძე. მწვრთნელი: ნოდარ აკობია |

გაფრთხილება: რამონი (26), იონანიძე (64)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; მ. ულიკაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. გაბრიაძე, შ. დოგრაშვილი (ორივე ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ოთარ მალლაკელიძე *ზესტაფონიდან*

თამაშის დაწყებამდე ლამის ერთი საათით ადრე უკვე ტრიბუნაზე მოკალათებული მავანი დროშამოხვეული ზესტაფონელი ფანი ხუმრობდა, მშრალი კარის თებერვალი გვქონდა და რაღა მარტის პირველივე დღეს ჭაგვიწყრება ღმერთიო. მართლაც, ფეროელებმა ოფიციალური სათებერვლო მატჩები ისე ჩაითამაშეს, ერთი გოლიც არ გაუშვიათ. იმ ფანის იმედის გამართლებას სამიოდ წუთი დააკლდა, მახარაძის ბიჭებმა კი ეროვნულის მესამე წრეში პირველი ქულები დაკარგეს...

მასპინძლებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს და მეხუთე წუთზე პირველი სახიფათო შეტევაც ვიხილეთ. დაახლოებით 25 მეტრიდან გუჩუას ძლიერად დარტყმული რომელიღაც მცველს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და მეკარისგან დაუცველი კუთხის ძელს შეასკდა. დამატებაზე ზირაქიშვილმა ვერ ივარგა, თუმც შემდეგი შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. ოთხიოდ წუთში ნუდნის პასი ერთი შეხებით გაისწორა და ხუთიოდ მეტრიდან სტურუას შანსი არ დაუტოვა.

ფეროელებმა ამის მერეც არაერთი საგოლე ეპიზოდი შექმნეს, მაგრამ გატანა ველარაფრით მოახერხეს. სტურუას მშვენიერი თამაში რომ არა, შეხვედრის ბედი პირველ ტაიმშივე გადაწყდებოდა. ჯერ იყო და, თურმანიძის კუთხურის მოგერიებისას თანაგუნდელ მძინარიშვილის უხეიროდ დარტყმული ისევ კუთხურზე მოიგერია, მერე კი ორ წუთში იონანიძის ორი საგოლე დარტყმა გააუვნებლა. პირველად „იონას" ჯარიმა ცხრიანიდან ჩამოხსნა, მერე კი მის ორიოდ მეტრიდან გასროლილს ჩაუხტა.

თავისი შანსი ტაიმის შუაწელს სტუმრებსაც მიეცათ. საჯარიმოს კუთხესთან დანიშნული ჯარიმა ორიგინალურად გაათამაშეს, სირბილაძე მარჯვნიდან შეიჭრა და შორეული კუთხისკენ გადაჰკიდა, თუმც დარტყმა გამოუვიდა და ქვაჩახიას ხარიხა წაეხმარა.

33-ე წუთზე ნუდნი გაღიოდა პირისპირ, მაგრამ ატალახებული მინდვრის გამო სისწრაფე ვერ შეინარჩუნა, საჯარიმოს ხაზთან მცველები წამოეწივნენ და ბურთი აართვეს. მილდოველი წაიქცა, ხალხი ჯარიმას ითხოვდა, ზოგი პენალტსაც. მსაჯმა კი თამაში გააგრძელა. სტუმართა სწრაფ კონტრშეტევას მეტოქის საჯარიმოსთან მათი რიცხობრივი უპირატესობა მოჰყვა. ბობოხიძემ მეკარეც მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან ვეღარ გაიტანა. თან სანამ ბურთი ხეირიანად დაამუშავა, კარს ბარე სამი ფეროელი მცველი აეფარა.

პირველ ტაიმში მეტი ხიფათი არც ერთი გუნდის კართან აღარ შექმნილა, თუმც ცენტრისთვის ისეთი ბრძოლები გაჩაღდა, თქვენი მოწონებული. უპირატესობა მასპინძლებისა იყო და ამაში ლომის წილი ახალგაზრდა მცველ მიხეილ ბესარაშვილს მიუძღვოდა. იგი მუდამ ბურთის სიახლოვეს ტრიალებდა და თავდადებული თამაშით მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავდა. მეორე ნახევარიც გულიანად დაიწყო და 65-ე წუთზე ანგარიშის გაზრდის რეალური შანსიც მიეცა, თუმც მის ხუთიოდ მეტრიდან დარტყმულს სტურუას მორიგი საოცარი ნახტომი მოჰყვა. დამატებაზე ყველას ზირაქიშვილმა დაასწრო, მაგრამ კარს ააცილა.

ეს იყო და, სცენარმა შეცვლა იწყო. „ლოკომოტივი" გააქტიურდა და ხალხი დაღლილი გუჩუასა და იონანიძის ნაცვლად მოედანზე განუგრავა-გოცირიძის გამოჩენას ელოდა. მოლოდინმა ნაწილობრივ გაუმართლათ, თუმც მახარაძემ განუგრავათი ბესარაშვილი შეცვალა და ცოტა ხანში აშკარად გამოჩნდა, რომ შეცდა. „ლოკო" ცენტრში საბოლოოდ გაბატონდა და რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტია. რეალური საგოლე შანსი 78-ე წუთზე მძინარიშვილს მიეცა, მაგრამ ამჯერად ქვაჩახიამ იხსნა კარი. სულ რაღაც წამებში კი იგიც უძლური იყო. ალავერდაშვილის ჩაწოდება თუ დარტყმა ძელთან გ აჩერდა და სტუმარ ფორვარდებს ძამსაშვილმა წამის მეათედით დაასწრო. გოლი კი 87-ე წუთზე ლაცაბიძის ჩაწოდებასა და ალავერდაშვილის უზადო თავურს მოჰყვა. „ზესტაფონმა" პირველი საგაზაფხულო ქულა დაკარგა.

მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია მასპინძელთა ოფიციალური განცხადებით დაიწყო. „ქუთაისის „ტორპედოს" თავკაც ოთარ გაბელიას ნათქვამი, თითქოს არაკაცურად მოვიქეცით და ჩიკვილაძე ცხვირწინ ავაცალეთ, სიმართლეს არ შეესაბამება — თქვა „ზესტაფონის" პრესატაშემ სერგო ფუტკარაძემ — ეს ტრანსფერი ორმხრივი მოლაპარაკების შედეგად მოხდა. ჩიკვილაძეში 20 ათასი დოლარი გადავიხადეთ. ასე რომ, არაკაცურად და არაკორექტულად არ მოვქცეულვართ".

ფუტკარაძის შემდეგ მწვრთნელების ტრადიციული, სრულიად განსხვავებული კომენტარებიც მოვისმინეთ. რომელი იქნებოდა კმაყოფილი და რომელი უკმაყოფილო, ალბათ თავადაც მიხვდებით.

# ფოთი. 1 მარტი. 14 საათი. ფაზისი. 200 (ტევადობა 6000)

## კოლხეთი 2:1 ტორპედო

1:0 თოდუა (4), 2:0 მელიქია (38), 2:1 მეგრელაძე (79პ)

| კოლხეთი | ტორპედო |
|---|---|
| კოლხეთი: ბათიაშვილი, ჯ. შალამბერიძე, ცქიფურიშვილი, მინდაძე, თაყაძე, კუნჭულია, ე. მარგალიტაძე, ლ. მელიქია (ჭითანავა 88), მიკუჩაძე (აკობია 87), ლებანიძე (ზ. ქუთათელაძე 73), გ. თოდუა. სათადარიგონი: გიზო შენგელია; ტყებუჩავა, ვართაგავა, ყურაშვილი. მწვრთნელი: სერგო გაბელაია | ტორპედო: მერლანი, მემარნიშვილი, გამეზარდაშვილი, რაქვიაშვილი, გ. ახალაია (წუწუნავა 76), ნერგაძე, კოშკაძე, ბაქრაძე, სოსელია (რ. ჯიქია 46), ბოლქვაძე, მეგრელაძე. სათადარიგონი: რევიშვილი; ებრალიძე, დ. ბარაბაძე, ლ. მერებაშვილი, ჯანჯღავა. მწვრთნელი: ოთარ გაბელია |

გაფრთხილება: ცქიფურიშვილი (16), ბოლქვაძე (21), კოშკაძე (22), რაქვიაშვილი (27), შალამბერიძე (44), ქუთათელაძე (90)

მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. მენთეშაშვილი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა; დირექტორი: გ. ჯიშკარიანი

# ალიაქოთის ტყუპი გოლები

გოჩა ჯანაშია *ფოთიდან*

ბოლნისის „სიონის" და „ზესტაფონის" გაძლიერებით ფოთის „კოლხეთს" ლიგიდან გავარდნის რეალური საფრთხე შეექმნა. ჰოდა, ამ ფონზე ბოლო ტურებში ქულების გამნიავებელ „ტორპედოსთან" წარმატებას დიდი ფასი დაედო.

თავის მხრივ ოთარ გაბელიას გუნდის ამბიციებს სულ უფრო მეტი წყალი შეუდგა და „ზესტაფონთან" საშინაო მარცხს მიყოლილი გუშინდელი წაფორხილება ამის ნათელი დასტურია.

ნამატჩევს, ტრადიციისამებრ, გაბელია მსაჯებზე აღშფოთებული ჩანდა. პრესკონფერენციის მთავარი სასაუბრო თემაც ეს გამოდგა, მაგრამ ერთიცაა — მთლად მსაჯებს ვერ დავაბრალებთ მისი გუნდის მარცხს და მწვრთნელმა უპირველესად ფეხბურთელების გარჯაში მოიძიოს მიზეზი, რამეთუ ორივე გაშვებულ გოლში იმერელ მცველთა უხეში შეცდომები აშკარა იყო.

ისედაც უხეირო და ნაწვიმარ მინდორზე ბურთაობა დაძაბული გამოდგა. შეხვედრის ბედი პირველ ტაიმში გადაწყდა — „კოლხეთმა" ტყუპისცალებივით მსგავსი გოლები გაიტანა და, როგორც უკვე ვთქვით, სტუმართა ცენტრალურ მცველთა და მეკარის შეცდომების ხარჯზე.

პირველ გოლს სწრაფი ეთქმოდა, მაგრამ სწრაფი ის იქნებოდა, კოლხებმა ბურთი ცენტრში რომ გაათამაშეს და პეტრე ლებანიძე მოძებნეს, რომელმაც მარჯვნიდან საჯარიმოში შერბენილ მიხეილ თაყაძეს კოხტად შეაყოლა ბურთი. ვერ ივარგა „კოლხეთის" მარჯვენაფლანგელმა, დარტყმა გაუცუდდა, თორემ ჩემპიონატების ისტორიაში ალბათ ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი შეიქნებოდა.

სამ წუთში მასპინძლებმა მაინც გაიხარეს. მარცხენა ფლანგზე ქუთაისელები დაჯარიმდნენ და ჯონი შალამბერიძემ პირდაპირ კარში დაარტყა დაბალი ბურთი. ახლო ძელთან მირზა მერლანმა ბურთი ვერ შეიმაგრა და კარის ხაზთან შექმნილი ზედახორით გია თოდუამ ისარგებლა — ორ მცველთან ჭიდილში ბურთს თავი წაჰკრა — 1:0.

მსგავსსავე სიტუაციაში შეირხა მეორედ სტუმართა კარის ბადე. 38-ე წუთი იყო, მარცხნიდან თაყაძემ კუთხური რომ ჩააწოდა, გზად ბურთს ერთ-ერთი მცველი შეეხო და „ტორპედოს" კარი ხარიხამ იხსნა. იქიდან გამოვარდნილის გამოტანა სამი მცველიდან ვერც ერთმა შეძლო და ამ ორომტრიალში ლევან მელიქიამ ისარგებლა — ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

გოლებს შორის მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტი გაცვალეს. ჯერ იყო და, მერლანის უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ვასილ კუნჭულია ცარიელ კარში გზავნიდა, მაგრამ კარის ხაზზე მყოფმა დავით გამეზარდაშვილმა არ დაანება.

„ტორპედოს" გატანის ყველაზე რეალური შანსი კი 33-ე წუთზე მიეცა და, როგორ ვერ მოახერხა გია ნერგაძემ მასპინძელთა ღამწუხრება, საკვირველი იყო. გია მეგრელაძის შორეულ გასროლას ზურაბ ბათიაშვილი რიგიანად ვერ გაუმკლავდა და იქვე მყოფ თანაგუნდელ ზაზა ცქიფურიშვილს დაუგდო. ამან ბურთს ფეხი ააცილა და იქვე დადარაჯებულმა ნერგაძემ ცარიელი კარის ნაცვლად მაინცდამაინც იმავ ცქიფურიშვილს დაუმიზნა.

მეორე ტაიმში თამაშის ხასიათი მკვეთრად შეიცვალა. სერგო გაბელაიას შეგირდები მოდუნდნენ, სტუმრები კი პირიქით — თამაშის გადასარჩენად დაიძრნენ, თუმც ერთი ხანი რაიმე მნიშვნელოვანი ვერაფერი მოიმკეს.

რაც დრო გადიოდა, უფრო იგრძნობოდა კოლხთა ფიზიკური სისუსტე და ბოლო 15 წუთი „ტორპედო" მეტოქის საჯარიმოში ჩასახლდა, ოღონდ საქმე რეალურ საგოლე მომენტამდე არ მიდიოდა. სამაგიეროდ, ბლომად იყო ეპიზოდები, როცა სტუმრები პენალტს ითხოვდნენ, თუმც უმეტესად უსაფუძვლოდ.

ბოლოს და ბოლოს, ავთანდილ ორდინიძემ მაინც გაიშვირა ხელი პენალტის ნიშნულისკენ. ცქიფურიშვილმა საჯარიმოში შეჭრილი მეგრელაძე დასცა და პენალტიც სავსებით სამართლიანი ჩანდა. მეგრელაძემ თავადვე დაარტყა და თავის გუნდს ქულის მოპოვების შანსიც გაუჩინა — 2:1. რად გინდა — ვა-ბანკზე წასულ სტუმრებს შტურმი არ გამოუვიდათ და მატჩის დასრულებისთანავე მთელი ბოღმის დანთხევა მსაჯებზე სცადეს. გვარიან ალიაქოთში სამართალდამცავებმა და „კოლხეთის" ფეხბურთელმესვეურებმა იყოჩაღეს, თორემ ვინ იცის, შეიძლება არბიტრებს საქმე შავად წასვლოდათ.

# ასათიანმა სიომინი გააბრაზა

მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველი ფეხბურთელი მალხაზ ასათიანი ესპანურ შეკრებაზე დაშავდა. ექიმები ჯერჯერობით ვერ ამბობენ, რამდენად სერიოზულია ჩვენებურის ტრავმა, თუმც ფაქტია, ასათიანმა ნორვეგიულ „სოგნდალთან" (3:1) და რუსულ „რუბინთან" (1:1) ამხანაგური მატჩები გამოტოვა.

— შეკრებით ბოლომდე კმაყოფილი ვიქნებოდი, ტრავმები რომ არ მოგვძალებოდა. სერგეი ოვჩინიკოვი, მალხაზ ასათიანი, მარატ იზმაილოვი, ევგენი პაშინინი და ვადიმ ევსეევი დაგვიშავდნენ, რაც ჩვენთვის უზარმაზარი დანაკლისია. მით უმეტეს, რამდენიმე დღეში სეზონი გვეწყება — განაცხადა რკინიგზელთა თავკაცმა იური სიომინმა.

„ლოკომოტივი" მოსკოვში გუშინ დაბრუნდა და, სავარაუდოდ, დღეს-ხვალ ითქმება ასათიანის დიაგნოზიც. იმედი ვიქონიოთ, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერს სერიოზული არაფერის სჭირს.

კახა შალამბერიძე



# საქართველოს XVI ჩემპიონატი ფეხბურთში

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

უმაღლესი ლიგა

მეორე ეტაპი

21

ტური


ოთარ მარცვალაძემ (№22) თამაზ ილურიძეს ორი გოლი გაუტანა

გორი. 1 მარტი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე. 600 (ტევადობა 8 230)

## დილა 0:4 ვიტ ჯორჯია

0:1 მარცვალაძე (7), 0:2 დილმელაშვილი (25პ), 0:3 სახოკია (37), 0:4 მარცვალაძე (50)

**დილა:** თ. ილურიძე, მგელაძე (მასურაშვილი 60), დ. ხანიშვილი, დ. მაისურაძე, რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი, კ. ხანიშვილი, რევაზიშვილი, ოლგესაშვილი (თომაშვილი 56), სულთანიშვილი, ბ. ჩიტაია (ა. ლაბაძე 67)
*სათადარიგონი:* ა. მაისურაძე, სამადაშვილი, ჯობაძე, ჯალაბაძე
**მწვრთნელი:** მერაბ ხუციშვილი

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, თ. კობიაშვილი, ინწკირველი, ზ. კვახაძე, რაზმაძე, დილმელაშვილი (ფეიქრიშვილი 55), პ. დათუნაიშვილი (მალიჩავა 43), სახოკია, გველესიანი, ებანოიძე, მარცვალაძე (ჩილვინაძე 65)
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი, დ. ლომაია, ქუხილავა, ლ. კვარაცხელია
**მწვრთნელი:** ჯანი კარნევალი

**გაფრთხილება:** დათუნაიშვილი (36)

**მსაჯები:** მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე, ზ. ჯვარიძე (სამივე თბილისი); ჟ. ბუიშვილი (ჭიათურა)

**სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

# მშიერი კუჭის ხმა

**ილია ნანობაშვილი** *გორიდან*

**რა არ** გადაგვიტანია, მაგრამ გორში ფეხბურთი ასე ჩამკვდარი არასოდეს ყოფილა — „დილას" გულშემატკივრები ნამატჩევს შეიკრიბნენ და თხოვნით მიმართეს შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე ზვიად ხმალაძეს, რამე გვიშველეთ, თორემ დასაცინები ვხდებითო.

მიხეილ ქარელის მოადგილე მატჩის დაწყებისას მოვიდა სტადიონზე და ძალიან ცუდი სურათიც დახვდა: იმ დროს, როცა „ვიტ ჯორჯია" მოთელვას გადიოდა, „დილას" ფეხბურთელები გასახდელში იყვნენ და თამაშზე გასვლას არ აპირებდნენ — ხელფასი ჩვენ არ ვიცით და ელემენტარული პირობები, მშიერი კუჭით როდემდე ვითამაშოთო. როგორც შევიტყვეთ, გორელებს დიდი ხნის დაპირებული ხელფასი სწორედ გუშინ დილით უნდა მიეღოთ, მაგრამ საქართველოში დაპირება ხომ...

ჟურნალისტების შეკითხვაზე კი ზვიად ხმალაძემ ასეთი კომენტარი გააკეთა: „გუნდს თანხას არ ვაძლევთ კი არა, ვერ ვაძლევთ. „დილას" არ მივატოვებთ, მაგრამ თამაშზე უარის თქმა პროტესტის ცუდი სახეა და საქმეს ვერ გამოასწორებს".

საბედნიეროდ, საქართველოს ჩემპიონატი მორიგ სირცხვილს ასცდა და „დილა" სათამაშოდ გავიდა, მაგრამ ვაი ასეთ გასვლას. რა გამოცნობა უნდოდა, რომ მერაბ ხუციშვილის ბიჭები შესაწირი კრავებივით ჩაბარდებოდნენ ვიტელებს და პირველივე წუთებზე პავლე დათუნაიშვილის პასი ოთარ მარცვალაძემ ისე მიიღო გორელთა საჯარიმოში, ისე დაამუშავა და ისე დაარტყა, როგორც ეზოში პატარა ბავშვების თამაშში ხდება — 1:0.

ჯანი კარნევალიმ დაცვაში სამი კაცი იკმარა. დათუნაიშვილი უჩვეულო პოზიციაზე, ნახევარდაცვის ცენტრში ათამაშა, შეტევაში მარცხნიდან ზაზა სახოკია და მარჯვნიდან ოთარ მარცვალაძე არაქათს აცლიდნენ მასპინძლებს, „დილა" კი გაძლებაზე იყო, მაგრამ როდემდე გაუძლებ...

ირაკლი ებანოიძემ უხიფათო სიტუაციაში ასწაპნა ბურთი ერთერთ გორელ მცველს და მარცვალაძე მეკარეს შეატოვა, თუმც თამაზ ილურიძემ გოლს პენალტის აკიდება არჩია — არც აქედან გამოვიდა რამე — დავით დილმელაშვილმა უნერვოდ დაარტყა და 0:2.

ქართლელებიდან მხოლოდ ფორვარდი საბა სულთანიშვილი თუ ამწვავებდა თამაშს და ერთხელ თავურიც გაისროლა სერგო ჭურაძის კარისკენ, მაგრამ ოდნავ ააცილა. ტაიმის ბოლოს კი დილმელაშვილმა ბრწყინვალე პასი გაუჭიმა სახოკიას, რომელმაც ილურიძეს ფეხებშუა გაუძვრინა ბურთი და „ვიტ ჯორჯია" შესვენებაზე სამბურთიანი მარაგით გავიდა.

მორჩა, ამის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა კუსნაბიჯა თამაში არჩიეს, „დილას" მეტი არ შეეძლო, ვეტერინარები კი ტრავმებს ერიდებოდნენ და მეორე ტაიმის კინკილა გოლიც ასეთი იყო — მეკარესთან პირისპირ გასულ მარცვალაძეს ვერავინ გაეკიდა და მანაც ბურთის თავზე გადაგდებით დასვა წერტილი.

ბოლო წუთებზე ისევ „დილას" გულშემატკივრებმა გამოაცოცხლეს თამაში, ოღონდ, ცუდი გაგებით — გვერდითი მსაჯი მამუკა ურუშაძე არ მოასვენეს, ხან „ხლაპუშკებით", ხან გინებით უმასპინძლდებოდნენ. რატომ? რა მიზეზით? აბა, მიდი და გაიგე...

საბოლოოდ, „ვიტ ჯორჯია" მიჯრით მეორე მოგებით უფრო მიუახლოვდა ლიდერთა სამეულს და საჩემპიონო ნიშნულიდან ოდენ 7 ქულითღაა დაშორებული. ჯანი კარნევალიც კმაყოფილი ჩანდა, სასწაულად არ გვითამაშია, მაგრამ იოლი გამარჯვება მოვიპოვეთო.

„დილას" თავკაცმა მერაბ ხუციშვილმა კი — წაგებას ვინ ჩივის, გუნდი თავზე გვენგრევაო. „ვერიდებოდი ამაზე ლაპარაკს. გუნდი ოჯახია, ოჯახის ამბები კი საიდუმლოდ უნდა შეინახო, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, გორში ფეხბურთი მოკვდება, ძალიან კრიტიკული სიტუაციაა".


წამიც და, ზაზა სახოკია (№11) გორელებს მესამესაც გაუტანს

ბათუმი. 1 მარტი. 14 საათი. დინამო. 300 (ტევადობა 5 000)

## ბათუმი 1:2 სიონი

1:0 გონჩაროვი (18), 1:1 ვაშაკიძე (31), 1:2 დოლიძე (88)

**ბათუმი:** სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, გალოგრე (ფირცხალაიშვილი 46), გუშარაშვილი (ნესიკ თედორაძე 66), ხუჯაძე, ცანავა, ღლონტი, ზ. მანჯგალაძე (ვ. ჩოხელი 51), დარჩიძე, გონჩაროვი, ხომერიკი
*სათადარიგონი:* თოთლაძე, ხარაზი, გოგიშვილი, ლ. ხმალაძე
**მწვრთნელი:** ამირან გოგიტიძე

**სიონი:** ბობღიაშვილი, სიდამონიძე, ი. ვაშაკიძე, თ. უგრეხელიძე, ალავიძე (ქოქიაშვილი 46), ბაჯელიძე, ჩიჩუა, გ. დოლიძე, ჩხაიძე, ბ. შელია (ნ. ლაბაძე 89), გიორგი შენგელია (გოგოლაძე 89)
*სათადარიგონი:* მიქელაძე, ზ. უგრეხელიძე, ოქრომჭედლიძე
**მწვრთნელი:** გიგლა იმნაძე

**გაფრთხილება:** ალავიძე (41), შენგელია (43), მახარაძე (73), ჩხაიძე (87), თედორაძე (89)

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), გ. დოგრაშვილი; გ. კოკრიაშვილი (ორივე ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

# ბათუმში სხვა სიო უბერავს

**გიორგი მურვანიძე** ბათუმიდან

**„ბათუმმა"** ერთხელაც წააგო, ამჯერად ჩემპიონატის ერთ-ერთ აუტსაიდერთან და თანაც შინ.

„სიონმა" თამაში მონდომების და ჟინის წყალობით მოიგო. უპირატესობა თავიდანვე მასპინძლებს გადაულოცა და თავად „დაცვას მიხედა".

მატჩის პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელებმა შექმნეს — ავთანდილ ღლონტის პასით მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ვიტალი დარჩიძემ სამი მეტრიდან ვერ გაიტანა. მომდევნო ეპიზოდი კი დარჩიძისთვის იღბლიანი გამოდგა: საჯარიმოში შეჭრილმა თავბრუ დაახვია მცველებს და... ბოლნისელმა ირაკლი ვაშაკიძემ სარმა გამოსდო — თერთმეტმეტრიანი გოლად ბათუმელთა ახალწვეულმა ბორის გონჩაროვმა აქცია — 1:0.

ბათუმელებმა გოლს შეტევებიც მიაყოლეს, მაგრამ „სიონი" მაგრად დადგა და რამდენჯერმე იქით შეუტია.

თენგიზ უგრეხელიძის კუთხურები განსაკუთრებულ პრობლემებს უქმნიდა მასპინძლებს და სწორედ მის ჩაწოდებულ კუთხურს მოჰყვა გამთანაბრებელი გოლიც — ვაშაკიძემ თავურით შეაგდო — 1:1.

გოლ და გულმიცემულ „სიონს" უპირატესობა არც ამის შემდეგ დაუთმია და ტაიმის ბოლომდე აკონტროლებდნენ ბურთს. შესვენებამდე გრიგოლ დოლიძეს არ გაუმართლა, თორემ... ახლო მანძილიდან მისი უძლიერესად დარტყმული ბურთი ჯერ „ბათუმის" კარის მარცხენა ძელს მოხვდა, შემდეგ მარჯვენას, ხაზი კი არა და არ გადაკვეთა.

მეორე ტაიმი დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა, ისეთი დუნე და უინტერესო ბურთაობა გაიწელა, ცოტა უძინარი, რომ ყოფილიყავი, უეჭველად ჩაგეძინებოდა.

ბათუმელები ოდნავ კი გააქტიურდნენ, მაგრამ ამას ხეირი არ მოჰყოლია. „სიონი" კი შიგადაშიგ მწარედ იკბინებოდა — უგრეხელიძის ჩაწოდებულს ჩხაიძემ თავი დაუხვედრა და ისევ ძელს მოარტყა.

ბოლოსკენ თამაში დაიძაბა და მსაჯს ყვითელი ბარათების ჩვენებამაც მოუწია...

88-ე წუთი კი ბათუმელებისთვის საბედისწერო გამოდგა. ამირან გოგიტიძემ მცველები, დავით გალოგრე და ნიკა გუშარაშვილი გაიყვანა მოედნიდან, რაც არასწორ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც ფაქტობრივად უმცველოდ დარჩენილ „ბათუმს" მაგრად გაუჭირდა. ბოლნისელმა გიორგი შენგელიამაც ამით ისარგებლა და რამდენიმე მეტოქის უპრობლემოდ ჩამოშორების მერე გამჭოლი გადაცემით დოლიძე პირისპირ დატოვა რამაზ სოლოლაშვილთან — დოლიძეს მუხლი არ აჰკანკალებია და 1:2.

# ბავშვზე უარესი ბელამი

**ბასულ** უქმეებზე „სელტიკმა" „კლაიდს" ასოციაციის თასის მეოთხედფინალურ მატჩში სტუმრად 5:0 მოუგო, გლაზგოელთა უელსელმა ახალწვეულმა კრეიგ ბელამიმ კი პირველი სელტიკური გოლი გაიტანა.

ნამატჩევს „კლაიდის" ნახევარმცველი დარენ შერიდანი უელსელი ფორვარდის ბაქიაობით გაოცებული დარჩა. თურმე ბელამი, აქაოდა, თქვენ ვინ მიგდიხართ, კვირაში 45 ათას გირვანქას ვიღებო, კლაიდელ ფეხბურთელებს ებლინძებოდა, რისთვისაც შერიდანისგან ბევრჯერ მიიღო მუჯლუგუნი.

დარენ შერიდანმა თქვა: „კრეიგ ბელამი რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია, ცხადია, მაგრამ პირის მოკეტვა უჭირს. ის ჩვენი გუნდის ყველა მოთამაშეს ელაქლაქებოდა და თავს ამეტებდა. ახლა მივხვდი, თუ რატომ გამოაგდო გრემ სუნესმა „ნიუკასლიდან". ძალიან ცუდად იქცევა, უარესად ვიდრე ჩემი ბავშვები".

**ვაჟა ხუციშვილი**





# მისტერ კინი სამსჯავროზე

**ბასული** წლის სექტემბერს „მანჩესტერის" კაპიტან როი კინს შეხლა მოუხდა მავან თინეიჯერთან, რომლის ვინაობაც ჯერაც არ გამჟღავნებულა.

ჰოდა, ახლა მოაწია დრომ და ტრეფორდის მაგისტრატის სასამართლო 33 წლის კაცისა და 16 წლის ბიჭის საქმეს განიხილავს.

დაზარალებული, ცხადია ბიჭია, რომელსაც, მისივე ჩვენებით, კინი ქეჩოში სწვდა და სახეში, პირში ჩაჰყვიროდა მუქარას, მერე კი მუშტიც მოუქნია და ცხვირთან გაუჩერა. ბოლოს ესეც არ აკმარა და ჩემს ძაღლს მოგიქსევო, უთხრა.

რა თქმა უნდა, განთქმული ირლანდიელი ყოველივეს უარყოფს, ბიჭი კი სასამართლოზე მხოლოდ ვიდეოჩვენებას იძლევა. მას ისტორია გაზეთებისთვის არ მიუყიდია და საერთოდაც ეტყობა, რომ მდიდარი ოჯახის შვილია, რომელსაც თვითრეკლამა არ აინტერესებს. ჰეილში, ჩეშირში, სადაც როი კინი ცხოვრობს, საშუალო შეძლებისა ბევრიც არავინაა.

საქმე კი ასე ყოფილა — სექტემბერში როი ძაღლს ასეირნებდა თავის სახლის შორიახლოს. მის საპირისპიროდ მომავალ ორ თინეიჯერს ის უცნიათ და ერთ-ერთს ანუ დაზარალებულს ეს შეძახილითაც გამოუხატავს. კინს პასუხად ხელჯოხი გაუქნევია, ბიჭი კი გარიდებია და შორიდან თითი დაუნახვებია. კარგა ზორბა ბიჭი კი ყოფილა, 180 სანტიმეტრი სიმაღლისა.

რამდენიმე კვირის შემდეგ კინს იგივე ჯეელები იმავ ადგილას, ოღონდ მოპედით მოქრიალენი შეუნიშნავს და ზემოთ მოთხრობილი ძველბიჭობაც იქ მომხდარა. „მანჩესტერის" კაპიტანს რომ ბიჭისთვის ქეჩოში ჩაუვლია ხელი, ბიჭს სამფუნტიანი ძეწკვიც ჩამოსწყვეტია, რაზეც როის უთქვამს, ახას ნაცნობ ხელოსანს გავაკეთებინებო.

ერთი სიტყვით, ვნახოთ, თუ რას იტყვის სასამართლო ამ ფრიად სერიოზულ და სახათაბალო საქმეზე

**ირაკლი ბამყრელიძე**

# მარეკმა მილანს გადაუკრა
## ოღონდ ჩექმას ნუ გავცდებით

**ბოლო** დღეებში იტალიური პრესა კვლავ მარეკ იანკულოვსკის „მილანში" გადასვლაზე ალაპარაკდა. ამას თავად ფეხბურთელიც გამოეხმაურა და აღნიშნა, „როსონერის" მაისურას სიამოვნებით მოვირგებდიო.

„უდინეზეს" ჩეხ ვარსკვლავს უკვე რა ხანია, რომელიმე გრანდში გადასვლა უნდა. გასულ ზაფხულს იგი „იუვენტუსთან" კონტრაქტის გაფორმებას აპირებდა და ერთი სულიც ჰქონდა, ტურინელთა რიგებში ჩარიცხულიყო, მაგრამ „ბებერმა ქალბატონმა" მოთხოვნილი თანხის გადახდაზე თქვა უარი, ხოლო უდინელებმა ფასს არ დაუწიეს.

იგივე მიზეზით ჩაიშალა მოლაპარაკება „ინტერთანაც", ხოლო მოსკოვური ცსკა ფულს კი იხდიდა, მაგრამ რუსეთში გადასვლა თავად იანკულოვსკიმ არ ისურვა.

და რა გასაკვირია, რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე ნახევარმცველს იტალიური და მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის კიდევ ერთი ვეშაპი, „მილანიც" უტრიალებდა. ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ და კომპანიამ ტრანსფერის გაჩარხვა იანვარშივე სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. ახლა კი „როსონერის" ბოსები კვლავ გამოჩნდნენ ჰორიზონტზე.

მარეკ იანკულოვსკი: „ეს ჭორები არ არის. „მილანი" მართლაც დაინტერესებულია ჩემით, თუმც მოვლენების დაჩქარება და აჟიოტაჟის ატეხვა ნამდვილად არ ღირს. ასე იყო „იუვენტუსისა" და „ინტერის" შემთხვევაშიც, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ჩაიშალა. იმედია, ამჯერად მხარეები მოლაპარაკებას შეძლებენ. ასეთ გუნდში თამაში ჩემი ბავშვობის ოცნებაა. ამიტომ „სან სიროზე" დიდი სიამოვნებით გადავბარგდებოდი. „მილანი" ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია და მის რიგებში ყოფნა ნებისმიერი მოთამაშისთვის ძალიან საამაყოა".

ფეხბურთელმა ისიც თქვა, კლუბის გამოცვლა მართლაც მინდა და აუცილებლად რომელიმე გრანდში გადავალ, მაგრამ იტალიის დატოვება ჩემს გეგმებში არ შედისო. ზემოთ ნახსენებ ცსკა-ს გარდა, იანკულოვსკის შეძენა რამდენიმე არაიტალიურ გუნდსაც სურს. თუმც, მიუხედავად მრავალი სარფიანი წინადადებებისა, ჩეხს აპენინების დატოვება არ ხიბლავს.

„მართლაც მაქვს რამდენიმე საინტერესო შემოთავაზება სხვა ქვეყნებიდანაც, მაგრამ ჩემი ოჯახიც და მეც იტალიაში ბედნიერები ვართ. აპენინებიდან წასვლის ვერანაირ მიზეზს ვერ ვხედავ და არც ვაპირებ" — დასძინა ბოლოს იანკულოვსკიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**



# მარსელში აქლემმიც ჰყოლიათ
## ფაბიენს მკაცრად დასჯიან



**საფრანგეთის** ფეხბურთის ფედერაცია ფაბიენ ბარტეზის მკაცრად დასჯას აპირებს. ხოლო თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ: ამასწინათ, „მარსელისა" და მაროკოული კასაბლანკის „ვიდადის" ამხანაგურ მატჩში ბარტეზმა „ამხანაგებს" და მსაჯს სახეში შეგნებულად მიაფურთხა.

მერე „მარსელის" პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მან მეკარეს ფულადი ჯარიმა უკვე გამოუწერა, მაგრამ ფედერაციის ჩინოვნიკებს ეს თურმე არ აკმაყოფილებთ. მაროკოს ფეხბურთის ვიცე-პრეზიდენტმა მუჰამედ აუზალმაც მისწერა ფრანგ კოლეგებს მატჩში მომხდარი ამბების თაობაზე, ეგ ბარტეზია თუ აქლემი, ძალიან მკაცრად დასაჯეთო.

ზემოხსენებულ შეხვედრაში მიფურთხების გარდა გვარიანი ჩხუბიც მომხდარა — ფრედერიკ დეუმ მაროკოელ მეტოქეს თავი დაარტყა და საკადრისი პასუხიც მაშინვე მიიღო. შედეგად, მსაჯს ფეხბურთელების დასაშოშმინებლად ათი წუთი დასჭირდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პენანტი ციხეში სამი თვით გამოკეტეს

**ლონდონის** „არსენალის" ნახევარმცველ ჯერმენ პენანტს სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს. მოგეხსენებათ, 22 წლის ფეხბურთელი იანვარში თანაგუნდელის, ეშლი კოულის მანქანას ნასვამი მართავდა და ავტოავარიაშიც მოჰყვა. მერსედესი ერთ-ერთ ლამპიონს დაეჯახა და გამვლელების სიცოცხლეს სერიოზული საფრთხეც შეუქმნა.

როგორც ამბობენ, სასამართლოს გადაწყვეტილება რომც გაასაჩივრონ, პენანტს სასჯელი არ შეუმსუბუქდება. იგი გასული წლის თებერვალში ანალოგიური საქციელზე ჩავარდა და მაშინ თექვსმეტთვიანი პირობითი პატიმრობაც „დაიმსახურა", მაგრამ ამჯერად იოლად ვერ გამოძვრებაო.

პენანტი „არსენალში" 1999 წელს „ნოტს ქაუნთიდან" გადავიდა 15 წლის ფეხბურთელისთვის სარეკორდო თანხად, 1,5 მილიონ გირვანქად. ამჟამად კი „ბირმინგემშია" განათხოვრებული.

„მეთოფეებთან" მოქმედი კონტრაქტი ახალგაზრდა ფეხბურთელს სეზონის ბოლოს ეწურება და ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ ლონდონელები მასთან ახალ შეთანხმებას არ გააფორმებენ.

**გიორგი ძაძაბაძე**



# არარეალური პაველი

## ნედვედმა კაპელოს გეგმები აურია

**პაველ ნედვედი** საავადმყოფოდან გამოწერეს, მაგრამ ჯერაც გაურკვეველია, რამდენ ხანს ვერ დაეხმარება იგი „იუვენტუსს". იმასაც ამბობენ, ეგებ ჩეხი აპრილის პირველ რიცხვებამდეც ჩამოშორდეს ფეხბურთსო. ერთი კი ცხადია, ნედვედი ნამდვილად არ იქნება შაბათს, „რომასთან" შეხვედრაში და თითქმის გადაწყვეტილია, რომ „რეალთანაც" ვერ ითამაშებს.

ექიმთა ცნობით, მან მომავალი კვირა შინ, მყუდრო ვითარებაში, ყოველგვარი დატვირთვების გარეშე უნდა გაატაროს. ხოლო 8 მარტს, ანუ მადრიდელებთან მატჩამდე ერთი დღით ადრე, ნედვედს კიდევ ერთხელ გულდასმით გამოიკვლევენ, რაც ბევრ რამეს მოჰფენს ნათელს.

შეგახსენებთ, რომ ისედაც ახლად მომჯობინებული ნედვედი იმავ „რეალთან", ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩისას დაშავდა — მან საჰაერო დუელისას თავი რაულ ბრავოს თავს მიჰკრა და ტვინი შეერყა.

ბუნებრივია, მისი არყოფნა ზეპრინციპული მატჩების წინ მრავლისმნახველ ფაბიო კაპელოს სერიოზულ პრობლემას უქმნის. როგორც ვარაუდობენ, „რომასთან" შეხვედრაში ტურინელთა თავკაცი ზლატან იბრაჰიმოვიჩს დაასვენებს და წინ ალექს დელ პიეროს გამოჯანმრთელებულ დავიდ ტრეზეგეს შეუწყვილებს, ხოლო ნედვედის შეცვლას ურუგვაელი გარემარბი რუბენ ოლივერა შეეცდება.

არაა გამორიცხული, კაპელომ უკვე კარგად ნაცადი 4-3-3 სისტემითაც ითამაშოს და ტრეზეგე-დელ პიეროს დუეტს მესამე ფორვარდად მარსელო ზალაიეტა ანაც იბრაჰიმოვიჩი დაუმატოს.

**გიორგი ძაძამიძე**





# სტუმარი ხარ თუ მასპინძელი...

## გატუზო იუვენტუსს აქებს

**იტალიელი** ჟურნალისტები გუშინ „მილანის" ნახევარმცველ ჯენარო გატუზოს ესაუბრნენ და რამდენიმე საკითხზე აზრის გამოთქმა სთხოვეს.

როგორც გაირკვა, „რინო" ლუჩანო მოჯის არ ეთანხმება. რატომ? „იუვენტუსის" გენერალურმა მენეჯერმა ცოტა ხნის წინ განაცხადა, სკუდეტოს მფლობელი 8 მაისს გაირკვევა, როდესაც „მილანს" „სან სიროზე" ჩავაკითხავთო.

„არა მგონია, სწორედ ამ მატჩმა გადაწყვიტოს ყველაფერი. რა თქმა უნდა, ურთიერთშეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ვფიქრობ, სკუდეტოსთვის ბრძოლა ბოლო ტურამდე გაგრძელდება. იმასაც ამბობენ, რომ ჩვენ ახლა უპირატესობა გვაქვს, რადგანაც „იუვენტუსი" „სან სიროზეა" ჩამოსასვლელი, მაგრამ ამგვარ შეხვედრებში სტუმარი ხარ თუ მასპინძელი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს" — ამბობს გატუზო.

„მილანი" ახლა სერია A-ს ლიდერია და ჯერჯერობით კარგი შედეგებიც აქვს, მაგრამ კლუბი ბოლოხანს ერთი ბურთით იგებს და ზოგჯერ არც ისე დამაჯერებელ თამაშს აჩვენებს. „რინოს" კომენტარი ამაზეც სთხოვეს.

„იმედია, ასეც გავაგრძელებთ. მთავარი ხომ შედეგია" — ხუმრობანარევი სერიოზულობით განმარტავს გატუზო — „ვფიქრობ, ამას გამართლება ნამდვილად არ ჰქვია. მაგალითად, „ინტერთან" მატჩი ავიღოთ, მათ მხოლოდ ერთი რეალური შანსი ჰქონდათ, ჩვენ კი ბევრად მეტი მომენტი შევქმენით. როდესაც ასე „იუვენტუსი" თამაშობს, ეს ნორმალურია და ტურინელები მხოლოდ ქებას იმსახურებენ, ხოლო ჩვენ ანალოგიურ სიტუაციაში იღბლიანებს გვეძახიან და უსამართლოდ გვაკრიტიკებენ. რატომ, არ მესმის".

**გიორგი ძაძამიძე**

# იცნობდეთ, ეს როდაგოლია!

## კოლუმბიას 19 წლის ბიჭზე აბოდებს

უგო როდალეგა — ამ 19 წლის კოლუმბიელს ქვეყნის ამომავალ ვარსკვლავს, იმედს, მომავალს და კიდევ ვინ მოთვლის რას არ ეძახიან. დღეს იგი თანამემამულეთა შორის არნახული პოპულარობით სარგებლობს. აღიარებულია ფორვარდად, რომელიც ბუნებამ გოლის იშვიათი ალღოთი დაასაჩუქრა და მიჩნეულია ადამიანად, რომელიც კოლუმბიის ნაკრების მწვრთნელ რეინალდო რუედას თავდასხმის პრობლემას მოუგვარებს. ის სიმაღლით 170 სანტიმეტრია, წონით კი 80 კილოგრამს იწონის, კულულები ნიგერიელ ჯეი ჯეი ოკოჩასავით დასთამაშებს და აქვს ბიოგრაფია, რომელსაც შელამაზება ნამდვილად არ სჭირდება, პირდაპირ შეიძლება მისი ჰოლივუდურად გადაღება



**და მაინც,** ვინ არის იგი? პირველად უგო როდალეგა 2004 წელს გამოჩნდა პირველი დივიზიონის „დეპორტეს ქუინდიოს" შემადგენლობაში, სადაც 11 გოლი გაიტანა და ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრებშიც ამოჰყო თავი. ეს ნაკრები კი მსოფლიოს ამ ასაკობრივი ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოდა.

საინტერესოა, რომ შესარჩევი შეჯიბრების და იმავდროულად, კონტინენტის ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, როდალეგა გუნდიდან კინაღამ დაითხოვეს. მწვრთნელმა თქვა, ვარჯიშებზე თავდადება აკლიაო და... გუნდში ამის შემდეგ დაბრუნებულმა პირველივე საწვრთნელ შეხვედრაში ორი გოლი შეაგდო.

და მაინც, ბოლივიასთან პირველ შეხვედრაში ის ძირითად შემადგენლობაში არ შეიყვანეს, სათადარიგოთა სკამზე დასვეს. რა იყო ეს, დასჯა ძველი გაუგებრობის გამო თუ სხვა რამ უცნობია, მაგრამ საბოლოოდ ჭკვიანური ნაბიჯი გამოდგა. თავად განსაჯეთ: შესვენებისას, დაშავებული თანაგუნდელის მაგივრად შესულმა როდალეგამ თუ შეიძლება ასე ითქვას, მარტომ დაანგრია მეტოქე — ოთხი გოლი გაიტანა. აი, მაშინ კი დაიწყო ქომაგების ჭკუიდან შეშლა და მისი ფენომენალური ზრდა.

„სხვა ფეხბურთელის ტრავმაზე საკუთარი აღმაფრენის აწყობა კარგი არ არის, მაგრამ რაც ვქნათ, ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია. ჩემთვის ისიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეჩვენებინა, რომ მე გამარჯვება შემიძლია" — განაცხადა ყმაწვილმა, რომელმაც თავისი, 20-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ რვანახევარ შეხვედრაში სამხრეთ ამერიკას ახალი რეკორდი მიართვა — თერთმეტი გოლი!

ეს შედეგი ორით მეტი აღმოჩნდა არგენტინელი ლუჩანო გალეტის მიერ 1997 წელს დამყარებულ რეკორდზე.

„გამოგიტყდებით და, რეკორდის დამყარება მთელი სულითა და გულით მსურდა. ძალიან მინდოდა, კოლუმბიის ამ ნაკრების მაისურით ისტორიაში ახალი ფურცელი ჩამეწერა" — თქვა ფორვარდმა ერთი ხნის შემდეგ.

მაშ ასე, როდაგოლად მონათლული ამომავალი ვარსკვლავი მთელი კოლუმბიის თავზე აკაშკაშდა. მისი სახე ჟურნალებისა და გაზეთების პირველ გვერდებზე უკვე ჩვეულებრივი რამ არის, თუმცა ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამის გამო იგი თავს მორცხვად არ ხრის. თავდაჯერებულობა უგო როდალეგას რომც გამოაკლოთ, მაინც საკმარისზე მნიშვნელოვნად მეტი დარჩება.

„ვიცი, შესარჩევი ეტაპის წინა პერიოდში, ყველაზე მეტად არგენტინელ ლეო მესიზე საუბრობდნენ, მაგრამ ერთი წუთით არ შემპარვია ეჭვი, რომ საუკეთესო მე ვიყავი" — დაგვეთანხმებით, მრავლისმეტყველი ნათქვამია, მაგრამ ეს გახლავთ ნათქვამი ადამიანისა, რომელმაც ბრაზილიის ნაკრების კარში გადამწყვეტი და მისი გუნდისთვის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლების მომტანი გოლი გაიტანა, ხოლო ვენესუელას ის გოლი შეუგდო, რომელმაც კოლუმბია 18-წლიანი გვალვის შემდეგ გახადა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი.

და იცით, რა უსვამს ხაზს როდალეგას საგანგებო ნიჭს? საჯარიმოთა შესრულების უბადლო ნიჭი. ერთი სიტყვით, მან გაიტანა მარჯვენათი, მარცხენათი, თავით, ჯარიმიდან, პენალტით და მაკრატელა დარტყმით...

„ადამიანი ყოველთვის უკეთესს ესწრაფვი, მაგრამ ახლა ჩემი საქმე თავადაც ისე მიდის, როგორაც ბავშვობიდანვე ვოცნებობდი. აგენტმა მითხრა, რომ ჩემთვის კარგი ცნობები აქვს, თუმცა კონკრეტულად არაფერი მოუყოლია, რადგან ჯერ ერთმანეთს არ შევხვედრივართ" — ამბობს ვალე დელ კაუკაში გაზრდილი ჭაბუკი. ეს ვალე დელ კაუკა კი საშინელი გარეუბანია.

ხოლო წინ ეროვნული გუნდია: „შეფი იქ იყო, როდესაც ახალგაზრდებმა ტიტული მოვიგეთ. ის მოვიდა, მომილოცა და მითხრა, თუ კიდევ უფრო დაიხვეწები, კოლუმბიის მთავარ ნაკრებში მოხვედრის შანსი გაგეზრდებაო. მე კი ვერ წარმომიდგენია, ჩემი ქვეყნის ნაკრების მაისურაზე უკეთესი რა შეიძლება ცხოვრებაში ჩავიცვა".

**პაპუნა ძიძია**

# რა მინდა იქ, სადაც მაგინებენ?

## რობინ ვან პერსის რვა წლის ტოლფასი წელიწადი



**იცით**, რატომ უყვარს ახალგაზრდა ჰოლანდიელ თავდამსხმელს, რობინ ვან პერსის ლონდონის „არსენალში“ თამაში? იმიტომ, რომ იქ, ვარჯიშის დროს ერთმანეთს თურმე, ფეხებში არ ურტყამენ და არ აგინებენ.

„ყველაზე დიდი მიზეზი, რომლის გამოც, „არსენალში“ ვარ და მისი წევრობა მიხარია, ურთიერთპატივისცემაა. ასეთი დამოკიდებულება არც ერთ კლუბში არ მინახავს. მეორე მხრივ, საქციელში ასეთი თანასწორობა სულაც არ ნიშნავს, რომ „არსენალში“ ლიდერები არ გვყავს. პირიქით, ჩვენ გვყავს გამორჩეული ფიგურები და ურთიერთპატივისცემის წესი სწორედ მათ დანერგეს. მაგალითად, ნოემბერში, „ლივერპულთან“ შეხვედრაში ორჯერ დავკარგე ბურთი ისეთ ვითარებაში, როდესაც იგი უნდა შემენარჩუნებინა. ერთ ეპიზოდში გავიხედე და პატრიკ ვიეირას მზერა დავიჭირე — შევშინდი, მეგონა გვარიანად გამომლანძღავდა, მან კი მოირბინა და მითხრა, რობინ არა უშავს, მთავარია, არ ინერვიულოო. სიტყვასიტყვით კი ასე იყო: რობინ, დამშვიდდი, ნახავ, შემდეგზე უკეთ გამოგივა. საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, რას შეიძლება ეს ნიშნავდეს-მეთქი. ნუთუ ეს არის უმაღლესი დონის პროფესიული ფეხბურთი?

ჰოლანდიაში, ასეთ ეპიზოდში, ფეხბურთელები მაგრად გამომლანძღავდნენ. იქ შეცდომას თუ დაუშვებ მოურიდებელი ღრიალით ამოგიტრიალებენ ყველას და ყველაფერს.

ერთი სიტყვით, მინდა ვთქვა, რომ არსენალური ურთიერთობათა წესი ძალიან მომწონს. ის ჩემზე კარგად მოქმედებს. ვერ ვიტან, როდესაც ფეხბურთელები ერთმანეთს აგინებენ. პირიქით, ჩვენ ერთმანეთს უნდა ვეხმარებოდეთ. განსაკუთრებით თავდამსხმელებს გვჭირდება ეს დახმარება, რადგან ჩვენ თამაშის განმავლობაში რამდენჯერმე მართლა ვკარგავთ ხოლმე სხვების მოპოვებულ ბურთს უწყინარ ვითარებაში“.

„არსენალში“ ვარჯიშისა და მისი თავისებურებების შესახებ ვან პერსი ასე ამბობს:

„მისტერ არსენ ვენგერმა ჩვენი ერთ-ერთი პირველი საუბრისას მითხრა, რომ თუ ვარჯიშზე კოლო ტურესა და სოლ კემპბელს გავუმკლავდები, თამაშის მეტ საშუალებას მომცემს, ეს კი მსოფლიოში უძნელესი საქმეა. არადა, წვრთნის დროს ხშირად მიწევს სწორედ სოლზე და კოლოზე გალაშქვრა. მინდა გითხრათ, რომ მთელი ამ ისტორიებიდან ერთადერთი შემთხვევა მახსოვს, როდესაც ტურე ფინტით ბავშვივით გავაბითურე, რაც ვფიქრობ, პირდაპირ მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დაძაბულები და მობილიზებულები ვართ ვარჯიშის დროსაც კი.

მეორე მხრივ, ასეთი დაძაბულობის მიუხედავად, ჩვენ არასდროს ვურტყამთ ერთმანეთს ფეხებში. ჩვენი ვარჯიშები ყოველთვის დატვირთულია, მაგრამ არასოდესაა ბინძური. არადა, „ფეიენოორდში“ თამაშისას მახსოვს, ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეებს ხშირად ჩაურტყამთ ჩემთვის უკნიდან, როთაც მაგრძნობინებდნენ, რომ წყნარად უნდა ვიყო და მათი მოტყუება ვარჯიშების დროსაც არ უნდა გავბედო. „არსენალში“ ასეთი რამ გამორიცხულია. აქ ყველამ იცის, რა ძნელია ძირითადში მოხვედრა და ყველას ახსოვს, რა შრომა მოუხდა თავად, პირველი წელიწადი რომ დაეძლია. „არსენალში“ [illegible] ლდოების მოპოვება და [illegible] სო ფეხბურთელებად ჩამოყალიბება გვინდა, რასაც ერთმანეთისთვის ფეხებში მირტყმით ვერ მიაღწევ“.

შემდეგ, ჰოლანდიელი სათადარიგოთა სკამზე საუბრობს:

„არასდროს დავიჩივლებ, რომ სათადარიგოთა სკამზე ხშირად მსვამენ. მე უნდა მოვითმინო და მოვითმინო კიდეც, ვინაიდან მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესოდ ორგანიზებულ კლუბში ვთამაშობ. აქ, „არსენალში“ ნებისმიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი გაფაციცებით უსმენს ვენგერს. იცით, ამასწინათ რა მითხრა ვენგერმა? „არსენალში“ გატარებული ერთი წელიწადი სხვაგან, ჩვეულებრივად ნაცხოვრებ რვა წელიწადს უდრისო. საოცრებაა მწვრთნელის მოსმენა ყოველი მატჩის წინაც. მის ნებისმიერ სიტყვას უდიდესი აზრი და მნიშვნელობა აქვს. მუდმივად დამსდევს შეგრძნება, რომ მას ჩემი სწამს“.

და ბოლოს ლონდონური ცხოვრების შესახებ:

„ყოველდღე დიდი ვარსკვლავებით ვარ გარშემორტყმული, მაგრამ ყოველდღე ვრწმუნდები, რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანებივით იქცევიან. წარმოვიდგენიათ, ეს ბუმბერაზები თავად იწვავენ ერბოკვერცხს, ზოგი თავად იუთოებს ტანსაცმელს...

არადა, თავიდან პირველი-ორი თვე ძალიან გამიჭირდა. ყველაფერს რომ შევეშვათ, თავი ამოვყავი ქვეყანაში, სადაც ყველაფერი სხვაგვარადაა, მაგრამ ახლა აქაურობა შემიყვარდა და ჰოლანდიაში აღარც ჩავდივარ. ცოლიც ჩამოვიყვანე და მასაც ძალიან მოეწონა ლონდონი, ეს კი ჩემთვის უმნიშვნელოვანესი იყო. მას პატარა მანქანა ჰყავს და უკვე მთელ ქალაქში დადის“.

**პაპუნა კედია**

# ჩამოფასებული ელბერი არ იხუმრებს

## ლიონი ბაიერნთან ახლოსაც ვერ მივა



*ჯოვანი ელბერს მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშისას გოლების გატანაც ეხერხებოდა და ხუმრობაც.*

*ბავარიელ ქომაგებს ახსოვთ, რომ „ბაიერნის“ საჩემპიონო ზეიმისას ბრაზილიელს ლუდით დაუსველებია მწვრთნელი ოტმარ ჰიცფელდი, რომელიც ახალი პიჯაკით იწონებდა თავს.*

*გოლის გატანის შემდეგ ხან კუთხურის ალამს კოცნიდა, ხანაც ტელეკამერას. ერთხელ სპორტული ჟურნალისთვისაც გაშიშვლდა და „იქ“ ბურთმიფარებულმა სურათი გადაიღო, ხოლო „შტუტგარტში“ ყოფნისას ერთ-ერთი მატჩის მეორე ტაიმში ტუჩებზე მიწებებული წითელი ქაღალდით გამოვიდა, რაკი მსაჯმა პირველ ტაიმში შელაპარაკებისთვის გააფრთხილა.*

*ახლა „ლიონიდან“ მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ ამ ზამთარს გადასულ ჯოვანი ელბერს საქმე სახუმროდ აღარ აქვს. 34 წლის ფეხბურთელი გულმოდგინედ ვარჯიშობს, რათა ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს*

**— როდის შედგება ბუნდესლიგაში თქვენი რედებიუტი?**

— დაზუსტებით ვერ გეტყვით. ჯერჯერობით ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და ვიმედოვნებ, რომ ორ კვირაში საბოლოოდ გამოვკეთდები.

**— „ლიონში“ თავიდან კარგად დაიწყეთ, მერე კი საქმეები აგეწეწათ...**

— პირველივე სეზონში საფრანგეთის ჩემპიონები გავხდით და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გავაღწიეთ. სანამ ტრავმას მივიღებდი, ყველაფერი ჩინებულად მიმდიოდა, მაგრამ ტრავმირებულმა უეცრად აღმოვაჩინე, რომ კლუბი ჩემდამი გულგრილად განეწყო. ისე კი „ლიონში“ თამაშისას ფეხბურთისგან გაცილებით ნაკლებ სიამოვნებას ვიღებდი, ვიდრე გერმანიაში.

**— ცხადია, „ბორუსიაში“ ისეთი ჯამაგირი არ გექნებათ, როგორიც ადრე, „ბაიერნში“ ყოფნისას გქონდათ...**

— ეს წინასწარი ვიცოდი, რადგან 34 წლის ფორვარდი გაცილებით იაფია.

**— გერმანიისა და საფრანგეთის ჩემპიონატები. შეადარეთ...**

— ბუნდესლიგა უკეთ ორგანიზებულია. აქ ტაქტიკას და გუნდურ თამაშს მეტი ყურადღება ეთმობა. ამიტომაცაა, რომ გერმანული კლუბები ევროსარბიელზე ხშირად იმარჯვებენ. საფრანგეთშიც ბევრი კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ბუნდესლიგაში უფრო სწრაფად, ეფექტურად და კორექტულად თამაშობენ. საფრანგეთში ერთმა მეორეს სახეში რომ შემოჰკრას, მხოლოდ ერთმატჩიან დისკვალიფიკაციას აკრავენ, გერმანიაში კი სულ ცოტა, ხუთ შეხვედრას მაინც გამოატოვებენ.

**— „ლიონს“ და „ბაიერნს“ შორის დიდი სხვაობაა?**

— რა თქმა უნდა. „ბაიერნი“ გაცილებით მდიდარია. „ლიონი“ გასვლით მატჩებში ორვარსკვლავიან სასტუმროებში ბინავდებოდა, „ბაიერნი“ კი მხოლოდ ხუთიანში.

**— ბუნდესლიგიდან ბევრი კლუბი გეპატიჟებოდათ და „ბორუსია“ რატომ არჩიეთ?**

— ეს გუნდი ჯერ კიდევ 2004 წლის დეკემბერში დამიკავშირდა, როგორც კი გაირკვა, რომ „ლიონს“ არ ვჭირდებოდი. კონტრაქტიც იოლად გავაფორმეთ.

**— „ბორუსიაში“ ოთხი მაღალი კლასის ფორვარდია — ნოივილი, სონკი, ვან ჰუტი და სვერკოში. როგორი იქნება გუნდის თავდასხმა, როცა ელბერიც გამოკეთდება?**

— ამას ალბათ დიკ ადვოკაატი გადაწყვეტს.

**— ჩემპიონთა ლიგის ფავორიტად რომელი კლუბი მიგაჩნიათ?**

— „ბარსელონა“ პრიმერადივიზიონის პირველ წრეში ძალიან კარგად თამაშობდა, ერთი კვირის წინ „ჩელსისაც“ მოუგო და ასე თუ გააგრძელა, ალბათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მაინც მოხვდება.

# ჩიჩოლინის სიბინძურე შეახსენეს

## მწვრთნელმა ბოდიში იკადრა

**„ბასტიას“** მწვრთნელი ფრანსუა ჩიჩოლინი საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის სასჯელს გადაურჩა, რადგან პსჟ-ს ალბანელ ლორიკ ჩანას მოუბოდიშა.

გასულ უქმეებზე პარიზელებმა შინ კორსიკელებს 1:0 მოუგეს, ჩიჩოლინიმ კი მატჩის დროს ჩანას „ბინძური ალბანელი“ უწოდა. ბასტიელთა თავკაცმა წამატჩევს აღიარა, რომ თავი ვერ შეიკავა, რადგან ჩანა მის ერთ-ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს განგებ ეუხეშა. ჩიჩოლინიმ თქვა: „არც მახსოვდა, თუ ასე მივმართე ალბანელს. მატჩის შემდეგ რომ მითხრეს, გამიკვირდა. მე დავურეკე ლორიკ ჩანას და მოვუბოდიშე, მან კი მიპასუხა, საქმე ამით დავამთავროთო“.

მოგვიანებით ჩიჩოლინისგან შეურაცხყოფილმა ალბანელმა დაადასტურა, ტელეფონით ვისაუბრეთ და პრობლემა მოგვარებულიაო.

**მაჟა ხუციშვილი**

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ბარსელონა | : | ესპანიოლი |
| **დღეს** | | |
| მალაგა | : | ბილბაო |
| რასინგი | : | ატლეტიკო |
| რეალი | : | ბეტისი |
| ხეტაფე | : | დეპორტივო |
| სევილია | : | ვალენსია |
| სოსიედადი | : | სარაგოსა |
| ვილიარეალი | : | მალიორკა |
| ალბასეტე | : | ოსასუნა |
| ლევანტე | : | ნუმანსია |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 25 | 18 | 4 | 3 | 50:18 | 58 |
| რეალი | 25 | 16 | 2 | 7 | 43:21 | 50 |
| სევილია | 25 | 12 | 6 | 7 | 30:27 | 42 |
| ვალენსია | 25 | 11 | 8 | 6 | 38:25 | 41 |
| ბეტისი | 25 | 11 | 8 | 6 | 40:30 | 41 |
| ესპანიოლი | 25 | 12 | 5 | 8 | 32:28 | 41 |
| ვილიარეალი | 25 | 11 | 7 | 7 | 41:23 | 40 |
| ატლეტიკო | 25 | 10 | 6 | 9 | 27:23 | 36 |
| ბილბაო | 24 | 9 | 8 | 7 | 39:32 | 35 |
| დეპორტივო | 25 | 8 | 11 | 6 | 35:34 | 35 |
| სარაგოსა | 25 | 9 | 5 | 11 | 30:38 | 32 |
| მალაგა | 25 | 9 | 4 | 12 | 25:33 | 31 |
| ოსასუნა | 25 | 8 | 6 | 11 | 35:45 | 30 |
| ლევანტე | 25 | 8 | 6 | 11 | 27:37 | 30 |
| სოსიედადი | 25 | 8 | 5 | 12 | 30:35 | 29 |
| ხეტაფე | 24 | 7 | 6 | 11 | 22:27 | 27 |
| რასინგი | 25 | 6 | 7 | 12 | 24:38 | 25 |
| ალბასეტე | 25 | 5 | 8 | 12 | 23:36 | 23 |
| მალიორკა | 25 | 5 | 6 | 14 | 24:41 | 21 |
| ნუმანსია | 25 | 4 | 6 | 15 | 16:40 | 18 |

# ესპანეთი

ლადო ხომერიკი

## არგუმენტი და ფაქტი

### კუპერი ოცნებებში ჩაიძირა




რეალელები — რაული გრიპმა შეაწუხა, ზიდანი კი ფეხის ტრავმამ

**გუშინ,** „კამპ ნოუზე" დაწყებული ახალი, 26-ე ტური დღეს გაგრძელდება. კატალონიური დერბის, „ბარსელონა" — „ესპანიოლის" მატჩის შედეგს დღევანდელი „სარბიელის" მეორე გვერდზე გაეცნობით. ამ წერილში კი სხვა წყვილებზე ანუ გუნდების მზადებაზე შეძლებისდაგვარად მოგითხრობთ.

სათქმელი თავიდანვე ვთქვათ: ვანდერლეი ლუშემბურგოს „რეალს" „სანტიაგო ბერნაბეუზე" სევილიური „ბეტისის" წინააღმდეგ კაპიტანი რაული და ზინედინ ზიდანი დააკლდებიან. რაული გრიპით ითანგება, ხოლო ლეგენდარულ ფრანგს მარცხენა ფეხის კუნთი დაეჭიმა და არამცთუ სევილიელებთან დღევანდელ ჯახს, შაბათს, „ვალენსიასთან" პრინციპულ მატჩსაც გამოტოვებს. როგორც „რეალის" მედპერსონალი გვამცნობს, ზიდანი სრულფასოვნად მხოლოდ 9 მარტს, ტურინის „იუვენტუსთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრისთვის გამოჯანმრთელდება.

ანდალუზიელებს ვერც იმავ „იუვესთან" დაშავებული მიჩელ სალგადო შეერკინება, გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მეორე მცველი, რაულ ბრავოც ტრავმირებულია. და, რა გამოდის? „რეალი", რომელმაც პრიმერადივიზიონში ორი ჯახი ზედიზედ წააგო, საყვარელი ქომაგების თვალწინაც შეფერთხილი შემადგენლობით იბურთავებს. მაგრამ, მადრიდელთათვის არის სასიხარულო ცნობაც — ბოლომდე მოკეთდენ რონალდო და ხოსე მარია გუტი.

„რეალისა" ხომ ვთქვით და მომხვდურ სევილიელებზედაც ვთქვათ, რაკი მათაც არ ეყოლებათ წამყვანი ფეხბურთელები. ოთხეული — ტონი დობლასი, დავიდ რივასი, ფერნანდო და მარკოს ასუნსაო — „სანტიაგო ბერნაბეუს" მარტო ტრიბუნაზე დასაჯდომად თუ მიაკითხავს. ამათგან პირველი სამი ტრავმირებულია, ბრაზილიელი ასუნსაო კი არბიტრმა ტურიენსო ალვარესმა „ვალენსიასთან" წინა ტურის მატჩში წითელი ბარათით „დააჯილდოვა".

ზემოხსენებული „ვალენსია" კი მეორე ანდალუზიურ გუნდს, ხოაკინ კაპაროსის „სევილიას" ესტუმრება. ჩემპიონთა მწვრთნელ ანტონიო ლოპესის შემადგენლობაში რაიმე ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ, სავარაუდოდ, ის თერთმეტეული დაიწყებს, რომელთაც „ბეტისს" მოუგეს 2:1 „მესტალიაზე". ერთი კია, ცენტრალური მცველი კარლოს მარჩენა იტკიებს ოდნავ ფეხს, [illegible] მხოლოდ ძველტრავმიანების, ვისენტესა და კურო ტორესის ამბავია, ისინი უეჭველად არ იქნებიან.

მასპინძლებს კი ბრაზილიელი ადრიანო და ბასკი მცველი აიტორ ოსიო დააკლდებათ. ოკეანისგაღმელმა „რასინგთან" წინა ტურში მარჯვენა ფეხი დაიშავა, ხოლო აიტორს მხარი აქვს ამოვარდნილი.

„ვალენსიას" ბრწყინვალე ფეხბურთელები ჰყავს, ისინი ინდივიდუალურად თუ გუნდურად ჩინებულად ბურთაობენ. ლოპესის გუნდი პრიმერადივიზიონში ერთ-ერთი საუკეთესოა და ამიტომაც, ოთხშაბათს მძიმე ჯახი მოგველის. სხვა თუ არაფერი, „ვალენსია" ჯერაც ქვეყნის ჩემპიონია და პრესტიჟს რომ გაუფრთხილდება, ეჭვიც არ მეპარება. მიუხედავად ამისა, ყველანაირად ვეცდებით, რომ მატჩი ჩვენი გამარჯვებით დასრულდეს" — აცხადებს ხოაკინ კაპაროსი, სევილიელთა გამოცდილი მწვრთნელი.

მადრიდულ „ხეტაფეს" ხავიერ ირურეტას მოფერიანებული „დეპორტივო" დაუდგება, მაგრამ თუ ესპანურ მედიას ვენდობით, სწორედ ამ თამაშის შედეგზე დიდად ყოფილა დამოკიდებული ირურეტას მომავალი. ის, რომ მწვრთნელი სეზონის ბოლოს საკუთარი სურვილით მიდის გუნდიდან, არახალია, მაგრამ აუგუსტო სესარ ლენდოიროს, „დეპორტივოს" პრეზიდენტს თურმე ახლავე სურს მისი გაშვებაო, დასძენენ ჟურნალისტები. „ხეტაფე" ახლა პრიმერას ცრილში მეთექვსმეტეა და სეგუნდაში გავარდნის რეალური თუ არა, ერთ-ერთი კანდიდატი მაინცაა. ასე რომ, თავდასახსნელად ქულათა მოგროვება ჰაერივით სჭირდება და ეჭვი არაა, ლაკორუნიელებს თავს შეაკლავს.

„მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ჩემპიონატის ბოლოს, ცხრილის გრაფაში 41 ან 42 ქულა მაინც გვეწერება. ჩემს ფეხბურთელებს უკვე ვუთხარი, რომ პრიმერადივიზიონში დარჩენის შანსები ჯერ კიდევ რეალურია და თუ კარგად ვითამაშებთ, შეცდომების გამოსწორებასაც მოვახერხებთ. ამას კი საფუძველი აქედანვე, „ვილიარეალთან" მატჩით უნდა ჩავუყაროთ" — იმედიანადაა მაჩანჩალა „მალიორკას" არგენტინელი მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი. მის ნათქვამს იმასღა დავუმატებთ, რომ „მალიორკას" დღეს მხოლოდ 21 ქულა აქვს და პრიმერას დასრულებამდე მთელი 13 ტურია — დღევანდელის ჩათვლით — დარჩენილი. დაგეგმილი 20 თუ 21 ქულის მოგროვება კი ვინძლო ძალიან ძნელიც კი იყოს. არგუმენტად, რა თქმა უნდა, წლეულს ბალეართა უსუსური თამაში მოგვყავს.

# წავა რონალდო რეალიდან?

## ბრაზილიელს ბრაზილიელმა ვერ გაუგო



რომან აბრამოვიჩმა რონალდო ისევ ახსენა...

**არა** და არ ისვენებს რომან აბრამოვიჩი. საქმე ისაა, რომ ლონდონური „ჩელსის" რუს ოლიგარქ მეპატრონეს კვლავაც განუზრახავს ბრაზილიელი რონალდოს ხელში ჩაგდება და როგორც ბრიტანული „ნიუს ოფ ზი ვორლდი" იტყობინება, ეს საქმე გაგანია ზაფხულში მოკვარახჭინდება ანუ ივლისში.

ხსენებული ჟურნალი დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ რონალდოს ბოლო დროს „რეალის" უფროსობასთან და თანაგუნდელებთან ურთიერთობა ფრიად გაუფუჭდა, რისი დასტურიც კლუბის თავკაცობის გადაწყვეტილებაა — ახალნაქორწილევი „კიჭა" „რეალის" საწვრთნელ ვარჯიშებზე ორჯერ ზედიზედ დაგვიანებისთვის გვარიანი თანხით დააჯარიმეს, ხოლო თანაგუნდელებმა ეს ამბავი მოიწონეს და ძმაკაცის დასაცავად სიტყვაც არ დასცდენიათო.

ესეც რომ არა, რონალდოს მწვრთნელთან, ვანდერლეი ლუშემბურგოსთანაც ჰქონია ურთიერთობა გაფუჭებული. ბრიტანელთა აზრით, თუ ოსტატსა და შეგირდს შორის შელაპარაკება მოხდა თუ მოხდება, კლუბი ყოველთვის მწვრთნელის მხარეს დაიჭერს და რონიც იძულებული გახდება, ვითარებას შეეგუოსო.

ამასობაში, რამდენადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, რონალდოს კომენტარი ფრანგულ „კანალ პლუსს" მოჰყავს: „ჯარიმის შესახებ პრესიდან შევიტყვე, რაც ძალიან არ მომეწონა. ვერ გავიგე, რა უნდა ჩემგან ლუშემბურგოს, თუ რამის თქმა უნდა, პირში მითხრას. მე, ყოველ შემთხვევაში აქამდე, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა. და, თუ თავს მართლაც ზედმეტად ვიგრძნობ, სხვაგან წასვლა ნამდვილად არ გამიჭირდება. „ინტერსა" და „ბარსელონაში" ზუსტად ასე მოვიქეცი".

**ლადო ხომერიკი**



ბრაზილიელს მადრიდელებთან ურთიერთობა გაუფუჭდაო

# ქვიშაზე, პლაჟზე თამაში

## რომარიო ნაკრებში დაბრუნდა



**მსოფლიოს** 1994 წლის ჩემპიონი რომარიო კვლავაც ფორმაშია და კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს. 39 წლის ფორვარდმა ამის თაობაზე მას შემდეგ განაცხადა, რაც მისი გოლით „ვასკუ და გამამ" რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატში „ფლუმინენსეს" მოუგო. ასე და ამგვარად, უკვე ჩატარებულ ექვს მატჩში რომარიომ მეხუთე გოლი მიითვალა.

„ჯერჯერობით ვერ ვხედავ მიზეზს, თუ რატომ უნდა ვთქვა უარი თამაშზე" — აღნიშნა ფეხბურთელმა, რომელიც კედელზე ბუცების ჩამოკიდებას სეზონის ბოლოსთვის გეგმავდა.

ბოლოს კი გეტყვით, რომ მაისში, რიო დე ჟანეირო პლაჟის ფეხბურთში მსოფლიოს პირველ ჩემპიონატს უმასპინძლებს, რომარიო კი ბრაზილიის ნაკრებშია გამოძახებული. მანამდე, „ვასკუ და გამასგან" თავისუფალ დროს, 39 წლის მეგოლე „ქვიშაშიც გაერევა", რათა ეროვნულ გუნდს შესარჩევ მატჩებში დაეხმაროს.

**გაგა ხუციშვილი**

# ხუთგზის გააჯ...ი

**ჟოზე მაურინიუს** ქცევაზე ლიგის თასის ფინალისას ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია აუცილებლად იმსჯელებს. „ჩელსის" პორტუგალიელი თავკაცი მეოთხე მსაჯმა, ფილ კროსლიმ მაშინ გააძევა მინდვრის კიდიდან, როცა მისმა გუნდმა ანგარიში გაათანაბრა.

„ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა ავტოგოლი გაიტანა, მაურინიუ კი ლივერპულელთა ტრიბუნას მიუტრიალდა და ტუჩებზე თითი მიიდო, ხმა აღარ ამოგეღებათო.

ეს ყოველივე „სქაი ტივის" ტელეკამერამ დააფიქსირა. ასევე, ტელესაშუალებით დათვალეს, რომ მაურინიუმ ხუთჯერ უღრიალა „გააჯ...ი" ლივერპულელ ჯეიმი კარაგერს. ეს მას შემდეგ მოხდა, როცა ჩელსელმა უილიამ გალასმა სტივ ფინანი წააქცია, კარაგერი ინციდენტში გაერია, მაურინიუმ კი უღრიალა: „გააჯ...ი", გააჯ...ი", თამაშს მიხედე!"

ცოტა ხნის შემდეგ კარაგერს იგივე სამჯერაც გაუმეორა...



ჟოზე მაურინიუმ ინგლისში გინებაც დაამულამა

**ირაკლი გამყრელიძე**

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIII ტური

**ფიურტი 1:3 დუისბურგი**

0:1 გრლიჩი (3), 0:2, 0:3 ვან ჰუდტი (21, 81), 1:3 აიგლერი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დუისბურგი | 23 | 14 | 3 | 6 | 37:23 | 45 |
| კიოლნი | 22 | 13 | 5 | 4 | 43:24 | 44 |
| ფიურტი | 23 | 13 | 4 | 6 | 38:27 | 43 |
| აინტრახტი | 23 | 11 | 4 | 8 | 41:33 | 37 |
| მიუნხენი | 23 | 10 | 7 | 6 | 32:30 | 37 |
| აუე | 23 | 11 | 3 | 9 | 36:25 | 36 |
| ალემანია | 23 | 10 | 4 | 9 | 42:29 | 34 |
| ბურგჰაუზენი | 23 | 9 | 6 | 8 | 33:37 | 33 |
| ზაარბრიუკენი | 22 | 9 | 4 | 9 | 32:29 | 31 |
| უნტერჰახინგი | 23 | 9 | 2 | 12 | 33:35 | 29 |
| ტრირი | 23 | 6 | 11 | 6 | 31:34 | 29 |
| კოტბუსი | 23 | 7 | 6 | 10 | 24:29 | 27 |
| ალენი | 23 | 6 | 7 | 10 | 23:29 | 25 |
| კარლსრუე | 22 | 5 | 8 | 9 | 26:34 | 23 |
| ესენი | 23 | 4 | 11 | 8 | 28:38 | 23 |
| ერფურტი | 23 | 5 | 8 | 10 | 22:35 | 23 |
| ობერჰაუზენი | 23 | 6 | 5 | 12 | 27:45 | 23 |
| დინამო | 22 | 6 | 4 | 12 | 28:40 | 22 |

## პორტუგალია

სუპერლიგა. XXIII ტური

**პორტუ 1:1 ბენფიკა**

1:0 მაკკარტი (66), 1:1 ჟოვანი (76)

**სპორტინგი 4:0 ეშტორილი**

1:0 ნიკულაე (8), 2:0 როჩემბაკი (77), 3:0, 4:0 ლიდსონი (87, 90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 23 | 12 | 6 | 5 | 50:27 | 42 |
| ბენფიკა | 23 | 12 | 6 | 5 | 36:23 | 42 |
| პორტუ | 23 | 11 | 9 | 3 | 28:15 | 42 |
| ბრაგა | 23 | 11 | 7 | 5 | 31:17 | 40 |
| ბოავიშტა | 23 | 11 | 7 | 5 | 29:27 | 40 |
| მარიტიმუ | 23 | 8 | 10 | 5 | 25:20 | 34 |
| რიუ ავე | 23 | 7 | 12 | 4 | 29:29 | 33 |
| სეტუბალი | 23 | 8 | 8 | 7 | 33:28 | 32 |
| გიმარაეში | 23 | 8 | 7 | 8 | 22:21 | 31 |
| ნასიონალი | 23 | 9 | 4 | 10 | 29:31 | 31 |
| ბელენენსეში | 23 | 8 | 5 | 10 | 32:28 | 29 |
| ლეირია | 23 | 6 | 11 | 6 | 20:22 | 29 |
| მორეირენსე | 23 | 5 | 9 | 9 | 21:32 | 24 |
| პენაფიელი | 23 | 7 | 3 | 13 | 23:39 | 24 |
| ჟილ ვისენტე | 23 | 6 | 5 | 12 | 23:28 | 23 |
| ეშტორილი | 23 | 6 | 4 | 13 | 26:38 | 22 |
| აკადემიკა | 23 | 5 | 5 | 13 | 19:33 | 20 |
| ბეირა მარი | 23 | 4 | 8 | 11 | 22:40 | 20 |

## ინგლისი

პრემიერლიგა. XXVII ტური

**ნორვიჩი 2:3 მანჩესტერ სიტი**

1:0 ეშტონი (12), 2:0 მაკკენზი (16), 2:1 სიბიერსკი (25), 2:2, 2:3 ფაულერი (37, 90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 27 | 21 | 5 | 1 | 50:8 | 68 |
| მანჩესტერი | 28 | 18 | 8 | 2 | 47:17 | 62 |
| არსენალი | 28 | 17 | 7 | 4 | 64:32 | 58 |
| ევერტონი | 28 | 15 | 6 | 7 | 34:29 | 51 |
| ლივერპული | 27 | 13 | 4 | 10 | 41:29 | 43 |
| მიდლსბრო | 28 | 11 | 9 | 8 | 43:37 | 42 |
| ბოლტონი | 28 | 11 | 7 | 10 | 36:34 | 40 |
| ტოტენჰემი | 27 | 11 | 6 | 10 | 35:30 | 39 |
| ჩარლტონი | 27 | 11 | 6 | 10 | 32:38 | 39 |
| სიტი | 28 | 9 | 9 | 10 | 34:31 | 36 |
| ასტონ ვილა | 28 | 9 | 8 | 11 | 32:37 | 35 |
| ნიუკასლი | 27 | 8 | 10 | 9 | 39:44 | 34 |
| ბირმინგემი | 28 | 8 | 8 | 12 | 31:35 | 32 |
| პორტსმუთი | 28 | 8 | 6 | 14 | 31:42 | 30 |
| ფულემი | 27 | 8 | 5 | 14 | 33:46 | 29 |
| ბლექბერნი | 27 | 6 | 10 | 11 | 24:36 | 28 |
| კრ. პალასი | 28 | 6 | 7 | 15 | 32:45 | 25 |
| საუთჰემპტონი | 28 | 3 | 12 | 13 | 29:44 | 21 |
| ნორვიჩი | 28 | 3 | 11 | 14 | 28:55 | 20 |
| ვესტ ბრომვიჩი | 27 | 2 | 12 | 13 | 23:49 | 18 |

## ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XVII ტური

**ოპავა 0:1 სპარტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 17 | 13 | 3 | 1 | 33:10 | 42 |
| სლავია | 17 | 9 | 4 | 4 | 25:14 | 31 |
| ტეპლიცე | 17 | 8 | 7 | 2 | 17:13 | 31 |
| ლიბერეცი | 16 | 8 | 5 | 3 | 25:9 | 29 |
| იაბლონეცი | 16 | 7 | 5 | 4 | 18:14 | 26 |
| სიგმა | 17 | 8 | 2 | 7 | 19:18 | 26 |
| სლოვაცკო | 17 | 5 | 7 | 5 | 14:12 | 22 |
| ბანიკი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:22 | 22 |
| ზლინი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:21 | 21 |
| ბლშანი | 17 | 5 | 4 | 8 | 13:22 | 19 |
| ბრნო | 17 | 5 | 4 | 8 | 14:24 | 19 |
| დრნოვიცე | 16 | 4 | 5 | 7 | 17:20 | 17 |
| ბოლესლავი | 17 | 3 | 7 | 7 | 16:21 | 16 |
| ოპავა | 17 | 3 | 6 | 8 | 17:23 | 15 |
| პრჟიბრამი | 16 | 4 | 3 | 9 | 15:29 | 15 |
| ბუდეიოვიცე | 17 | 2 | 5 | 10 | 14:21 | 11 |

## იტალია

სერია B
XXVIII ტური

**ალბინოლეფე 0:0 ემპოლი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 28 | 14 | 11 | 3 | 50:28 | 53 |
| ემპოლი | 28 | 12 | 11 | 5 | 37:22 | 47 |
| პერუჯა | 28 | 13 | 8 | 7 | 34:23 | 47 |
| ტორინო | 28 | 14 | 5 | 9 | 32:24 | 47 |
| ვერონა | 28 | 13 | 6 | 9 | 49:35 | 45 |
| ტრევიზო | 28 | 13 | 6 | 9 | 34:30 | 45 |
| ასკოლი | 28 | 11 | 9 | 8 | 39:37 | 42 |
| ტერნანა | 28 | 10 | 10 | 8 | 35:34 | 40 |
| პიაჩენცა | 28 | 12 | 4 | 12 | 30:32 | 40 |
| ალბინოლეფე | 28 | 10 | 8 | 10 | 37:32 | 38 |
| ჩეზენა | 28 | 10 | 8 | 10 | 33:36 | 38 |
| კატანია | 28 | 9 | 11 | 8 | 30:33 | 38 |
| ვიჩენცა | 28 | 10 | 6 | 12 | 42:46 | 36 |
| პესკარა | 28 | 8 | 11 | 9 | 29:36 | 35 |
| ბარი | 28 | 8 | 11 | 9 | 27:28 | 34 |
| მოდენა | 28 | 10 | 7 | 11 | 28:29 | 33 |
| ტრიესტინა | 28 | 9 | 6 | 13 | 30:39 | 33 |
| სალერნიტანა | 28 | 8 | 8 | 12 | 34:40 | 32 |
| არეცო | 28 | 6 | 13 | 9 | 37:37 | 31 |
| კროტონე | 28 | 7 | 8 | 13 | 28:34 | 26 |
| ვენეცია | 28 | 4 | 10 | 14 | 20:35 | 22 |
| კატანძარო | 28 | 5 | 7 | 16 | 24:49 | 22 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა*

## შოტლანდია

ასოციაციის თასი
ნახევარფინალის
წილისყრა

**სელტიკი — ჰართსი**

**დანდი იუნ. — ჰიბერნიანი**

*მატჩები გაიმართება 9-10 აპრილს*


რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80


### ფეხბურთის რუკასთან



**ჰოლანდიელი** ნახევარმცველი ედგარ დავიდსი კვლავ გრანდების ყურადღების ცენტრშია. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ იგი მომავალ ზაფხულს „ინტერს" დატოვებს და მსურველებიც აქედანვე აქტიურობენ. გავრცელებულ ჭორებს თუ ვენდობით, მათ შორის „რეალი" და „მანჩესტერი" ყოფილან. ასევე „ბარსელონაც", სადაც „პიტბულმა" უკვე გაატარა ნახევარი წელი.

**ინგლისური** „არსენალის" ლაზარეთი კიდევ ერთი ფეხბურთელით გაიზარდა. რობერ პირესი „საუთჰემპტონთან" მატჩში დაშავდა და „ბაიერნთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო შეხვედრას გამოტოვებს. შეგახსენებთ, რომ მოუნხენელებთან არც სოლ კემპბელი იქნება და ალბათ, არც ედუ. „პირესის ამბავმა ყველა დაგვამწუხრა. მით უმეტეს, რომ სოლ კემპბელი კიდევ ორი კვირა არ იქნება, ხოლო ედუს „ბაიერნთან" თამაში ძალიან საეჭვოა" — თქვა „მეთოფეთა" თავკაცმა არსენ ვენგერმა.

**იტალიურ** „ფიორენტინას" მომავალი 3-4 კვირის მანძილზე ახალწვეული, ვალერი ბოჟინოვი დააკლდება. ბულგარელმა ფორვარდმა გასულ უქმეებზე „უდინეზესთან" მატჩში მიიღო ტრავმა. შეგახსენებთ, რომ ბოჟინოვი „იებში" იანვარში „ლეჩედან" გადავიდა. მან ფლორენციელთა მაისურით ჯერჯერობით მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლო.

**ბელგიური** „ბრიუსელის" მთავარ მწვრთნელად რობერ ვასეჟი დაინიშნა. ამ უკანასკნელმა ემილიო ფერერა შეცვალა. „ბრიუსელი" ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია, რითაც კლუბის ხელმძღვანელობა ძალიან უკმაყოფილოა და ვასეჟის იმედი აქვს. როგორც იცით, გამოცდილი სპეციალისტი რამდენიმე წლის წინ ბელგიის ნაკრებსაც წვრთნიდა, ბოლოს კი იგი ალჟირის თავკაცი გახლდათ.

**ტაილანდის** ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გერმანელი ზიგფრიდ ჰელდი დაითხოვეს. იგი აზიელებს მხოლოდ 6 თვე თავკაცობდა და არც ისე წარმატებით. 62 წლის სპეციალისტს კამეიტ პოლკივინი შეცვლის. ეს უკანასკნელი ტაილანდის ნაკრებში მეხუთე მწვრთნელი იქნება ბოლო 16 თვის მანძილზე.

**იტალიური** პრესის ცნობით, ტურინის „იუვენტუსს" ჯულიანო ჯანიკედას შეძენა გადაუწყვეტია. ნახევარმცველს „ლაციოსთან" მოქმედი კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და ჯერჯერობით მის გახანგრძლივებას არ აპირებს. სავარაუდოდ, რომაელებს ჯანიკედას უფასოდ დაკარგვის შიშით მისი გაყიდვა მოუწევთ. „ბებერ ქალბატონს" ლეჩელი ლედესმასა და რეჯინელი მოცარტის ხელში ჩაგდებაც სურს.

**ინგლისური** „ლივერპული" ეგებ მილან ბაროშმა დატოვოს. ჩეხი თავისი ახალი კლუბით მაინცდამაინც კმაყოფილი არ არის. გასულ უქმეებზე კი „ჩელსისთან", ლიგის თასის ფინალში რაფაელ ბენიტესმა იგი ძირითად შემადგენლობაში არ დააყენა, რამაც ევრო 2004-ის საუკეთესო ბომბარდირი ძალიან გაბრაზა. ბაროშის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა ბირმინგემის „ასტონ ვილამ". შეგახსენებთ, რომ მისით ადრე იტალიური „ლეჩეც" იყო დაინტერესებული.

**თურქეთის** ნაკრებისა და „სოსიედადის" თავდამსხმელი ნიჰატ კაჰვეჩი, მიუხედავად მუხლის სერიოზული ტრავმისა, კვლავ ერთ-ერთი გამორჩეული სამიზნეა, მისი სახელი ამჯერად „ჩელსის" დაუკავშირეს. როგორც ამბობენ, ლონდონელები 25 წლის ფეხბურთელში 12 მილიონ ევროს გადაიხდიან და შესაძლოა, მომავალ სეზონში ცსკა-ში გაანათხოვრონ. თურქის შეძენა „ჩელსის" აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კინიონს სდომებია. მან ეს ჯერ კიდევ „მანჩესტერში" მუშაობისასაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

**ესპანური** „ვალენსიას" მცველმა კარლოს მარჩენამ კლუბთან ახალი, ექვსწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ძალიან კმაყოფილი ვარ და მინდა, მადლობა გადავუხადო კლუბს ასეთი ნდობისთვის. ყოველთვის მჯეროდა, რომ ჩემი მომავალი სწორედ „მესტალიას" უკავშირდებოდა. „ვალენსიასთან" უამრავი კარგი მოგონებები მაკავშირებს და იმედია, წარმატებებს კვლავ მივაღწევთ" — თქვა 25 წლის ფეხბურთელმა.

**იტალიური** „ინტერი" სავარაუდოდ უახლოეს მომავალში ადრიანოსთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს. ყოველ შემთხვევაში, მხარეებმა უკვე დაიწყეს მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევაც არ უნდა გაუჭირდეთ. „ნერაძურის" ხელმძღვნელობა ამით კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ადრიანო არ იყიდება. მოგეხსენებათ, ბრაზილიელს „ჩელსი" და „რეალი" უტრიალებენ.

**ინგლისური** „მანჩესტერის" ფანებმა ერიკ კანტონას ყველასთვის ცნობილი ხულიგნური საქციელის ათი წლისთავი აღნიშნეს. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს სკანდალისტმა ფრანგმა „კრისტალ პალასის" ერთ-ერთი ქომაგისგან შეურაცხყოფა ვერ მოითმინა და მას აკრობატული ნახტომით კინაღამ სასიკვდილო დარტყმა მიაყენა. საინტერესოა, რომ მომავალ უქმეებზე „იუნაიტედს" სწორედ „კრისტალ პალასთან" უწევს გასვლა, სადაც დაახლოებით 4 ათასი ქომაგი ჩაჰყვება. მათი უმეტესობა კანტონას შვიდნომრიანი მაისურის ჩაცმასა და ლეგენდარული ფორვარდის ნიღაბის გაკეთებას აპირებს.

**რუმინეთის** ნაკრებისა და „რომას" მცველი კრისტიან კივუ სეზონის ბოლოს ალბათ გუნდს გამოიცვლის. მისი შეძენა სხვა კლუბებთან ერთად „მილანს", „იუვენტუსსა" და „რეალს" სურთ. „ჩემი მომავალი აქაურ ვითარებაზეა დამოკიდებული. ქალაქით ძალიან კმაყოფილი ვარ, მაგრამ თუ კლუბი არ გაძლიერდება და სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა არ ექნება, წასვლა იძულებით მომიწევს" — აღნიშნა კივუმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 15:45 | 2 | ასტონ ვილა-მიდლსბრო | 2.35 | 3.2 | 2.85 | 1.35 | 1.28 | 1.5 |
| 18:00 | 3 | კრ. პალასი-მანჩესტერი | 5.0 | 3.7 | 1.6 | 2.12 | 1.21 | 1.11 |
| 18:00 | 4 | კრ. პალასი-მანჩესტერი 1:0 | 1.95 | 3.3 | 2.45 | | | |
| 18:00 | 5 | არსენალი-პორტსმუთი | 1.3 | 4.6 | 9.0 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 18:00 | 6 | არსენალი-პორტსმუთი 0:1 | 1.65 | 4.0 | 2.7 | | | |
| 18:00 | 7 | ნიუკასლი-ლივერპული | 2.5 | 3.2 | 2.65 | 1.4 | 1.28 | 1.44 |
| 18:00 | 8 | საუთჰემპტონი-ტოტენჰემი | 2.45 | 3.3 | 2.65 | 1.4 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 9 | ფულჰემი-ჩარლტონი | 2.35 | 3.3 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.5 |
| 20:15 | 10 | ნორვიჩი-ჩელსი | 6.5 | 4.0 | 1.45 | 2.47 | 1.18 | 1.06 |
| 20:15 | 11 | ნორვიჩი-ჩელსი1:0 | 2.05 | 3.5 | 2.2 | | | |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 12 | ვესტ ბრომვიჩი-ბირმინგემი | 2.5 | 3.3 | 2.6 | 1.42 | 1.27 | 1.45 |
| 19:05 | 13 | ევერტონი-ბლექბერნი | 1.7 | 3.3 | 4.85 | 1.12 | 1.25 | 1.96 |
| | | **7 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 14 | სიტი-ბოლტონი | 2.3 | 3.3 | 2.85 | 1.35 | 1.27 | 1.52 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 15 | დერბი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 16 | ბერნლი-სანდერლენდი | 2.8 | 3.3 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 17 | დერბი-პლიმუთი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 18 | ლესტერი-ნოტინგემი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 19 | ქპრ-რედინგი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 20 | სტოკი-ბრაიტონი | 1.95 | 3.2 | 3.6 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 18:00 | 21 | ვესტ ჰემი-პრესტონი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 22 | უიგანი-იფსვიჩი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |
| 18:00 | 23 | უოტფორდი-ქოვენტრი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 24 | როტერჰემი-გილინგემი | 2.55 | 3.3 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.4 |
| 18:00 | 25 | ქრიუ-ვულვერჰემპტონი | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 18:00 | 26 | კარდიფი-შეფილდი | 2.45 | 3.3 | 2.55 | 1.4 | 1.24 | 1.43 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 27 | მილუოლი-ლიდსი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 28 | ჰარტლპული-რექსემი | 1.55 | 3.5 | 5.6 | 1.07 | 1.21 | 2.15 |
| 18:00 | 29 | ბრედფორდი-ჰადერსფილდი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 30 | ბლეკპული-უოლსოლი | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 31 | კოლჩესტერი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 32 | სვინდონი-ბორნმუთი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 34 | ტორკი-ჩესტერფილდი | 2.3 | 3.3 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| 18:00 | 35 | ოლდემი-პორტ ვეილი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 18:00 | 36 | პიტერბორო-ბარნსლი | 2.35 | 3.2 | 2.7 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 18:00 | 37 | ლუტონი-ბრისტოლი | 1.75 | 3.3 | 4.3 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 38 | დონსი-სტოკპორტი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 39 | ჰალი-დონკასტერი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:45 | 68 | ინვერნესი-ჰიბერნიანი | 2.8 | 3.0 | 2.35 | 1.44 | 1.27 | 1.31 |
| 22:45 | 69 | ჰარტსი-რეინჯერსი | 7.0 | 3.8 | 1.4 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| 22:45 | 70 | ლივინგსტონი-კილმარნოკი | 2.6 | 3.2 | 2.35 | 1.43 | 1.23 | 1.35 |
| 22:45 | 71 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2.35 | 3.2 | 2.6 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 22:45 | 72 | დანფერმლაინი-მაზერველი | 2.3 | 3.2 | 2.7 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 22:45 | 73 | სელტიკი-დანდი | 1.1 | 7.0 | 12.0 | 1.0 | 1.0 | 4.42 |
| 22:45 | 74 | სელტიკი-დანდი0:1 | 1.3 | 4.5 | 4.3 | | | |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 443 | ქუინი-კლაიდი | 2.65 | 3.5 | 2.2 | 1.5 | 1.2 | 1.35 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 96 | მიონხენგლადბახი-ვოლფსბურგი | 2.15 | 3.2 | 3.2 | 1.28 | 1.28 | 1.6 |
| 17:30 | 97 | მაინცი-ფრაიბურგი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 17:30 | 98 | შტუტგარტი-არმინია | 1.55 | 3.7 | 5.5 | 1.09 | 1.2 | 2.21 |
| 17:30 | 99 | ჰამბურგი-ლევერკუზენი | 2.2 | 3.3 | 3.0 | 1.32 | 1.26 | 1.57 |
| 17:30 | 100 | ჰანოვერი-ჰანზა | 1.6 | 3.6 | 5.2 | 1.1 | 1.22 | 2.12 |
| 17:30 | 101 | ბოხუმი-შალკე | 3.4 | 3.2 | 2.05 | 1.64 | 1.27 | 1.24 |
| 17:30 | 103 | ბაიერნი-ვერდერი | 1.75 | 3.5 | 4.2 | 1.16 | 1.23 | 1.9 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 19:30 | 104 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1.7 | 3.5 | 4.6 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 19:30 | 105 | ნიურნბერგი-დორტმუნდი | 2.55 | 3.2 | 2.6 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 134 | ადმირა-პაშინგი | 3.2 | 3.3 | 2.0 | 1.62 | 1.23 | 1.24 |
| 20:30 | 135 | ბრეგენცი-მატერსბურგი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| 20:30 | 136 | ტიროლი-გრაცერი | 2.65 | 3.3 | 2.3 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 20:30 | 137 | შტურმი-აუსტრია | 3.8 | 3.4 | 1.8 | 1.79 | 1.22 | 1.17 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 17:30 | 138 | რაპიდი-ზალცბურგი | 1.35 | 4.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.66 |
| 17:30 | 139 | რაპიდი-ზალცბურგი 0:1 | 1.7 | 3.8 | 2.7 | | | |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 140 | უნტერსიბენბრუნი-ლეობენი | 2.7 | 3.1 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| 21:00 | 141 | ლინცერი-გრატკორნი | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 21:00 | 142 | ვიორგლი-რიდი | 3.8 | 3.2 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 21:00 | 143 | კაპფენბერგი-კერნტენი | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 144 | ალტახი-აუსტრია(ლ) | 2.75 | 3.1 | 2.3 | 1.45 | 1.25 | 1.32 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 145 | შაფჰაუზენი-იანგ ბოისი | 2.65 | 3.2 | 2.4 | 1.44 | 1.25 | 1.37 |
| 21:30 | 147 | აარაუ-ციურიხი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 21:30 | 148 | გრასჰოპერი-სტ.გალენი | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 21:30 | 149 | ქსამაქსი-ბაზელი | 2.75 | 3.2 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 21:30 | 424 | ვინტერთური-ივერდონი | 3.0 | 3.2 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 21:30 | 425 | კრიენსი-კონკორდია | 1.9 | 3.3 | 3.4 | 1.2 | 1.21 | 1.67 |
| 21:30 | 426 | ბოლმი-სიონი | 2.5 | 3.2 | 2.45 | 1.4 | 1.23 | 1.38 |
| 21:30 | 427 | ვოლენი-ვილი | 2.05 | 3.2 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 21:30 | 428 | ბადენი-კიასო | 5.1 | 3.5 | 1.55 | 2.07 | 1.18 | 1.07 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 164 | ატალანტა-მილანი | 7.0 | 3.7 | 1.45 | 2.42 | 1.2 | 1.04 |
| 22:30 | 165 | რომა-იუვენტუსი | 2.65 | 3.1 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 166 | სიენა-ბრეშა | 2.0 | 3.1 | 3.65 | 1.21 | 1.29 | 1.67 |
| 17:00 | 167 | მესინა-ლაციო | 2.4 | 3.0 | 2.9 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 17:00 | 168 | პარმა-კალიარი | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 17:00 | 169 | უდინეზე-ბოლონია | 1.8 | 3.1 | 4.6 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 17:00 | 170 | სამპდორია-კიევო | 1.6 | 3.3 | 6.0 | 1.07 | 1.26 | 2.12 |
| 17:00 | 171 | ფიორენტინა-რეჯინა | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| 17:00 | 172 | ინტერი-ლეჩე | 1.3 | 4.3 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.85 |
| 17:00 | 173 | ინტერი-ლეჩე0:1 | 1.8 | 3.8 | 2.45 | | | |
| 22:30 | 174 | ლივორნო-პალერმო | 2.65 | 3.0 | 2.6 | 1.4 | 1.31 | 1.39 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **2 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.65 | 3.5 | 5.0 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 22:00 | 207 | ალბასეტე-ოსასუნა | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 23:00 | 209 | რეალი-ბეტისი | 1.5 | 3.8 | 6.0 | 1.07 | 1.2 | 2.32 |
| 22:00 | 210 | ხეტაფე-დეპორტივო | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| 22:00 | 211 | სევილია-ვალენსია | 2.25 | 3.2 | 3.0 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| 22:00 | 212 | ესპანიოლი-სარაგოსა | 2.1 | 3.2 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 22:00 | 213 | რასინგი-ატლეტიკო | 2.5 | 3.2 | 2.65 | 1.4 | 1.28 | 1.44 |
| 22:00 | 214 | ვილარეალი-მალიორკა | 1.45 | 3.8 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.46 |
| 22:00 | 215 | მალაგა-ბილბაო | 2.35 | 3.3 | 2.75 | 1.37 | 1.26 | 1.5 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 242 | კაენი-ლიონი | 4.5 | 3.1 | 1.8 | 1.83 | 1.28 | 1.13 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 19:15 | 237 | ლანსი-ოსერი | 2.3 | 2.9 | 3.1 | 1.28 | 1.32 | 1.49 |
| 22:00 | 238 | პსჟ-ნანტი | 1.8 | 3.1 | 4.5 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| 22:00 | 239 | რენი-სოშო | 2.0 | 2.9 | 3.8 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 240 | მონაკო-მეცი | 1.5 | 3.8 | 5.8 | 1.07 | 1.19 | 2.29 |
| 22:00 | 241 | სტრასბური-აიაჩო | 1.85 | 3.1 | 4.2 | 1.15 | 1.28 | 1.78 |
| 22:00 | 243 | ბასტია-ლილი | 2.7 | 2.8 | 2.65 | 1.37 | 1.33 | 1.36 |
| 22:00 | 244 | ტულუზი-ნიცა | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 22:00 | 245 | ისტრი-ბორდო | 2.75 | 2.8 | 2.65 | 1.38 | 1.34 | 1.36 |
| | | **6 მარტი** | | | | | | |
| 23:00 | 246 | სტ.ეტიენი-მარსელი | 2.8 | 2.8 | 2.6 | 1.39 | 1.34 | 1.34 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 248 | მონპელიე-რეიმსი | 1.8 | 2.8 | 4.8 | 1.09 | 1.3 | 1.76 |
| 22:00 | 249 | ბრესტი-ლე ავრი | 1.85 | 2.8 | 4.5 | 1.11 | 1.31 | 1.72 |
| 22:00 | 250 | ანჟე-ამიენი | 2.3 | 2.7 | 3.2 | 1.24 | 1.33 | 1.46 |
| 22:00 | 251 | დიჟონი-კრეტეი | 1.8 | 2.8 | 4.8 | 1.09 | 1.3 | 1.76 |
| 22:00 | 252 | ტრუა-კლერმონი | 1.6 | 3.2 | 5.5 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| 22:00 | 253 | სედანი-გენიონი | 1.9 | 2.8 | 4.3 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 22:00 | 254 | ლორიანი-ნიორი | 1.9 | 2.8 | 4.3 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 22:30 | 255 | ნანსი-გენგამი | 1.65 | 3.2 | 5.0 | 1.08 | 1.24 | 1.95 |
| | | **7 მარტი** | | | | | | |
| 22:15 | 257 | შატორუ-ლე მანი | 2.25 | 2.7 | 3.3 | 1.22 | 1.33 | 1.48 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **4 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 258 | ანდერლეხტი-შარლერუა | 1.55 | 3.8 | 5.0 | 1.1 | 1.18 | 2.15 |
| | | **5 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 259 | სტანდარდი-ლიერსე | 1.6 | 3.7 | 4.8 | 1.11 | 1.2 | 2.08 |
| 20:00 | 260 | მონსი-სერკლი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 20:00 | 261 | გენტი-მუსკრონი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 20:00 | 262 | ბეერსხოტი-გენკი | 3.5 | 3.3 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 20:00 | 263 | ბევერენი-ოსტენდე | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 264 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.15 | 6.0 | -10.0 | 1.0 | 1.03 | 3.75 |
| 20:00 | 265 | ბრიუგე-ბრიუსელი | 1.35 | 4.5 | 3.7 | | | |
| 20:00 | 266 | სტ.ტრუიდენი-ლოკერენი | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| | | | 6 მარტი | | | | | |
| 17:00 | 267 | ვესტერლო-ლიერსე | 2.0 | 3.3 | 3.2 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | | ჰოლანდია. I დივიზიონი | | | | | |
| | | | 4 მარტი | | | | | |
| 22:00 | 269 | როზენდაალი-ნაიმეგენი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| | | | 5 მარტი | | | | | |
| 21:30 | 270 | დენ ჰააგა-ჰერენვენი | 2.7 | 3.4 | 2.3 | 1.5 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 271 | ვიტესი-ტილბურგი | 1.7 | 3.5 | 4.3 | 1.14 | 1.21 | 1.92 |
| 22:00 | 272 | ვალვაიკი-უტრეხტი | 2.15 | 3.4 | 2.85 | 1.31 | 1.22 | 1.55 |
| | | | 6 მარტი | | | | | |
| 14:30 | 273 | გრონინგენი-პსვ | 5.0 | 3.5 | 1.6 | 2.05 | 1.21 | 1.09 |
| 16:30 | 275 | აიაქსი-ალკმაარი | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 16:30 | 276 | გრააფსხაპი-ბრედა | 2.35 | 3.3 | 2.65 | 1.37 | 1.24 | 1.46 |
| 16:30 | 277 | დენ ბოსხი-ფეიენოორდი | 7.0 | 4.5 | 1.35 | 2.73 | 1.13 | 1.03 |
| 18:30 | 278 | როდა-ტვენტე | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| | | | პორტუგალია. სუპერლიგა | | | | | |
| | | | 4 მარტი | | | | | |
| 23:45 | 292 | ჟილ ვისენტე-გიმარაეში | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | | 5 მარტი | | | | | |
| 23:45 | 296 | პენაფიელი-პორტუ | 4.4 | 3.3 | 1.75 | 1.88 | 1.25 | 1.14 |
| 22:15 | 298 | ესტორილი-ბოავიშტა | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| | | | 6 მარტი | | | | | |
| 19:00 | 293 | ლეირია-ბეირა მარი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 21:30 | 294 | ბელენენსეში-სპორტინგი | 3.8 | 3.2 | 1.9 | 1.73 | 1.26 | 1.19 |
| 19:00 | 295 | მარიტიმუ-აკადემიკა | 1.55 | 3.4 | 6.0 | 1.06 | 1.23 | 2.17 |
| 23:45 | 297 | ნასიონალი-ბენფიკა | 3.4 | 3.2 | 2.0 | 1.64 | 1.25 | 1.23 |
| 19:00 | 299 | რიო ავე-მორეირენსე | 1.7 | 3.3 | 5.0 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| | | | 7 მარტი | | | | | |
| 23:30 | 291 | სეტუბალი-ბრაგა | 2.35 | 3.2 | 2.8 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| | | | გერმანია. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 22:30 | 383 | ფრაიბურგი-ბაიერნი | 5.5 | 3.8 | 1.5 | 2.24 | 1.17 | 1.07 |
| | | | ინგლისი. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 22:45 | 387 | ნოტინგემი-ტოტენჰემი | 5.0 | 3.4 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| | | | საფრანგეთი. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 22:00 | 389 | ალბი-ნიცა | 8.0 | 4.5 | 1.3 | 2.88 | 1.11 | 1.0 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 390 | ისტრი-პსჟ | 2.0 | 3.0 | 3.5 | 1.2 | 1.27 | [illegible] |
| 21:00 | 391 | ლილი-გრენობლი | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | [illegible] | [illegible] |
| 19:00 | 393 | რენი-მონაკო | 2.45 | 3.0 | 2.7 | 1.34 | 1.28 | 1.42 |
| | | | ბელგია. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 22:30 | 444 | გენტი-ლოკერენი | 1.85 | 3.4 | 3.85 | 1.19 | 1.24 | 1.8 |
| 22:30 | 445 | ლიერსე-ბრიუგე | 4.6 | 3.4 | 1.7 | 1.95 | 1.24 | 1.13 |
| | | | ჰოლანდია. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 21:45 | 395 | ტილბურგი-დენ ბოსხი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 22:45 | 396 | დენ ჰააგა-აიაქსი | 4.5 | 3.5 | 1.7 | 1.96 | 1.25 | 1.14 |
| | | | 3 მარტი | | | | | |
| 21:45 | 397 | პსვ-ოსი | 1.05 | 7.5 | 15.0 | 1.0 | 1.0 | 5.0 |
| 22:45 | 398 | ფეიენოორდი-ბრედა | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| | | | პორტუგალია. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 18:00 | 399 | მარიტიმუ-ბოავიშტა | 2.2 | 3.1 | 2.9 | 1.28 | 1.25 | 1.39 |
| 22:00 | 400 | ამადორა-ბელენენსეში | 2.8 | 3.1 | 2.3 | 1.37 | 1.26 | 1.32 |
| 23:45 | 401 | სეტუბალი-ბრაგა | 2.35 | 3.2 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| | | | 3 მარტი | | | | | |
| 23:45 | 402 | ბენფიკა-ბეირა მარი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | | თურქეთი. თასი | | | | | |
| | | | 2 მარტი | | | | | |
| 16:30 | 403 | დენიზლი-კონია | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 21:30 | 404 | ფენერბაჩე-კაისერი | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.03 | 3.0 |
| 19:00 | 405 | ტრაბზონი-გაზიანტეპი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| | | | როიალ ლიგა | | | | | |
| | | | 3 მარტი | | | | | |
| 22:35 | 446 | კოპენჰაგენი-როზენბორგი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 22:35 | 447 | ვოლერენგა-გოტებორგი | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.53 |
| | | | ჰოკეი. რუსეთი | | | | | |
| | | | 3 მარტი | | | | | |
| 13:00 | 524 | სპარტაკი-ავანგარდი | 5.0 | 4.4 | 1.3 | 2.34 | 1.03 | 1.0 |
| 13:00 | 525 | სიბირი-აკ | 1.95 | 4.5 | 2.2 | 1.36 | 1.03 | 1.47 |
| 13:00 | 526 | ხიმიკი-დინამო | 3.8 | 4.5 | 1.4 | 2.06 | 1.02 | 1.06 |
| 13:00 | 527 | ნეფტეხიმიკი-ცსკა | 1.8 | 4.5 | 2.5 | 1.28 | 1.04 | 1.6 |
| 13:00 | 528 | ნოვოკუზნეცკი-სევერსტალი | 1.8 | 4.5 | 2.5 | 1.28 | 1.04 | 1.6 |
| 13:00 | 529 | ლადა-მაგნიტოგორსკი | 1.9 | 4.5 | 2.45 | 1.33 | 1.07 | 1.58 |
| 13:00 | 530 | აკ ბარსი-მოლოტი | 1.1 | 5.0 | 7.0 | 1.0 | 1.19 | 2.91 |
| 13:00 | 531 | ლოკომოტივი-ხიმიკი | 1.65 | 4.3 | 3.0 | 1.19 | 1.06 | 1.76 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.7 | 1.9 |
| 13207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.7 | 1.9 |
| 13208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.9 | 1.7 |
| 13209 | რეალი-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 13210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 13211 | სევილია-ვალენსია | 1.7 | 1.9 |
| 13212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 13214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.9 | 1.7 |
| 13215 | მალაგა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.3 | 2.5 |
| 14207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.8 | 2.0 |
| 14208 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.2 | 2.6 |
| 14209 | რეალი-ბეტისი | 1.3 | 2.5 |
| 14210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.9 | 1.9 |
| 14211 | სევილია-ვალენსია | 1.8 | 2.0 |
| 14212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.7 | 2.2 |
| 14213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.9 | 1.9 |
| 14214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.3 | 2.5 |
| 14215 | მალაგა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15206 | ლევანტე-ნუმანსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15207 | ალბასეტე-ოსასუნა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15209 | რეალი-ბეტისი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15210 | ხეტაფე-დეპორტივო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | სევილია-ვალენსია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | სოსიედადი-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | რასინგი-ატლეტიკო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15214 | ვილიარეალი-მალიორკა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | მალაგა-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.6 | 2.1 |
| 12207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.6 | 2.1 |
| 12209 | რეალი-ბეტისი | 1.9 | 1.7 |
| 12210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.7 | 1.9 |
| 12211 | სევილია-ვალენსია | 1.6 | 2.0 |
| 12212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.7 | 1.9 |
| 12214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.7 | 1.9 |
| 12215 | მალაგა-ბილბაო | 1.7 | 1.9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11206 | ლევანტე-ნუმანსია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11207 | ალბასეტე-ოსასუნა | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11209 | რეალი-ბეტისი | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 4.9 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11210 | ხეტაფე-დეპორტივო | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11211 | სევილია-ვალენსია | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 5.0 |
| 11212 | სოსიედადი-სარაგოსა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11213 | რასინგი-ატლეტიკო | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.9 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11215 | მალაგა-ბილბაო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.6 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10206 | ლევანტე-ნუმანსია | 2.2 | 2.0 | 5.3 | 1.04 | 1.55 | 1.45 |
| 10207 | ალბასეტე-ოსასუნა | 2.95 | 2.0 | 3.3 | 1.19 | 1.55 | 1.24 |
| 10209 | რეალი-ბეტისი | 1.9 | 2.1 | 6.6 | 1.0 | 1.47 | 1.59 |
| 10210 | ხეტაფე-დეპორტივო | 3.35 | 2.0 | 2.95 | 1.25 | 1.56 | 1.19 |
| 10211 | სევილია-ვალენსია | 2.8 | 2.0 | 3.55 | 1.16 | 1.56 | 1.27 |
| 10212 | სოსიედადი-სარაგოსა | 2.7 | 2.0 | 3.65 | 1.14 | 1.55 | 1.29 |
| 10213 | რასინგი-ატლეტიკო | 3.0 | 2.0 | 3.2 | 1.2 | 1.54 | 1.23 |
| 10214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.85 | 2.3 | 6.2 | 1.02 | 1.42 | 1.67 |
| 10215 | მალაგა-ბილბაო | 2.85 | 2.0 | 3.55 | 1.17 | 1.58 | 1.27 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.25 | 3.0 |
| 16207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.5 | 2.2 |
| 16209 | რეალი-ბეტისი | 1.15 | 4.8 |
| 16210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.8 | 1.75 |
| 16211 | სევილია-ვალენსია | 1.65 | 2.1 |
| 16212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.6 | 2.2 |
| 16213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.8 | 1.9 |
| 16214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.15 | 4.8 |
| 16215 | მალაგა-ბილბაო | 1.7 | 2.0 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17206 | ლევანტე-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ალბასეტე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17209 | რეალი-ბეტისი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ხეტაფე-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17211 | სევილია-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17212 | სოსიედადი-სარაგოსა | 1.85 | 1.95 |
| 17213 | რასინგი-ატლეტიკო | 1.85 | 1.95 |
| 17214 | ვილიარეალი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17215 | მალაგა-ბილბაო | 1.85 | 1.95 |

# სანიკიძეს ორმაგი დუბლი მოჰპარეს

## დიჟონის ევროპა თასია



**გუშინწინ საღამოს ფრანგულმა „დიჟონმა“ ფიბა-ევროპის საპლეიოფო სერიის მეორე მატჩიც წააგო მოსკოვურ „ხიმიკთან“ და გათამაშებას გამოეთიშა. ჩვენთვის სასიამოვნო ის იყო რომ ამ თამაშში, ფრანგული კლუბის ქართველმა ლეგიონერმა ვიქტორ სანიკიძემ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩი ითამაშა — 33 წუთში 14 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა. „ვიკას“ რომ გუშინ საფრანგეთში შევეხმიანეთ, წაგებით ნირწამხდარი, საკუთარი გარჯით კი კმაყოფილი იყო. ორმაგი დუბლი შევასრულე, ოქმში კი რატომღაც მხოლოდ 7 მოხსნა მიწერიაო: „კარგად მახსოვს, ან როგორ არ უნდა მახსოვდეს, რომ მეტოქის ფარზე 3-ჯერ მოვხსენი ბურთი, ოქმში კი შეტევაში არც ერთი მოხსნა არ მიწერია“ — გაოცებულია სანიკიძე...**

— დასანანი თამაში წავაგეთ. თავისუფლად შეგვეძლო, რუსები დაგვემარცხებინა, მაგრამ გამძლეობამ დაგვალალატა.

**— ფრანგული კლუბები სწორედ სისწრაფითა და გამძლეობით გამოირჩევიან, „დიჟონს“ რა დაემართა?**

— გადაღლილები ვიყავით. რომ ვთქვა, გადატვირთული გრაფიკი გვქონდა და ამიტომო, არ იქნება მართალი, მაგრამ აშკარა იყო, რომ მეორე ტაიმში გადავიღალეთ. „ხიმიკმა“ თითქმის ერთი კომპონენტით, სწრაფი შეტევებით მოგვიგო. თითქმის ყველა ჩვენი აცილებული ბურთი რუსებმა სწრაფი კონტრშეტევით ჩაგვიგდეს. არადა, პირველ ტაიმში 15 ქულას ვაგებდით და შესვენებაზე ერთქულიანი ლიდერობით გავედით. კლასით და სიზუსტით არ წაგვიგია, სისწრაფეში დავიჩაგრეთ.

**— შენ ცუდად არ გითამაშია, წლეულს ამდენი ქულა ჯერ არ მოგიგროვებია...**

— 14 ქულა ჩემთვის წლეულს მართლაც სარეკორდოა და მოხსნებიც ათზე მეტი მქონდა, მაგრამ ოქმში მხოლოდ 7 წერია. არ ვიცი, ვერ დაინახეს თუ რა იყო, მაგრამ მეტოქის ფარზე აშკარად მოვხსენი 3 ბურთი, მატჩის ოქმში კი მხოლოდ საკუთარ ფარზე მოხსნილებია დაფიქსირებული.

**— ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს შენთვის?**

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ საწყენია, გარჯა სათანადოდ რომ არ გიფასდება. ისე, ოქმში 3 მოხსნით მეტი მეწერება თუ ნაკლები, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ყველამ და, რაც მთავარია, ჩემმა მწვრთნელმა დაინახა, რომ კარგად ვითამაშე.

**— შეგაქო მწვრთნელმა?**

— არა, მასთან არ გვილაპარაკია მოთამაშეებს, ისე კი, ალბათ უკმაყოფილო არ დარჩებოდა. თანაგუნდელებმა შემაქეს, ყველას გულით გაუხარდა ჩემი წარმატება.

**— კი მაგრამ, ეგ მწვრთნელი არ იყო, ერთი თვის წინათ სამაღლო წუთებით რომ გათამაშებდა, ხანაც საერთოდ არ გაყავდი მოედანზე?**

— ასე იყო, მაგრამ ახლა მოთამაშეებიცა და მეც გაკვირვებულნი ვართ. რომ ვთქვა, მნიშვნელოვნად მოვუმატე ამ ერთ თვეში-მეთქი, მოგატყუებ. მეხუთე თუ მეექვსე მატჩია, 20 წუთზე ნაკლები დროით არ გავუყვანივარ მოედანზე და რახან ასე მენდობა, ესე იგი დავიმსახურე კიდეც.

**— ეგებ შენს ჯანმრთელობას უფრთხილდებოდა, მუხლები ხომ გაწუხებს...**

— შეიძლება ეგრეც იყო, მაგრამ ახლა ამ მხრივ უკეთესად მაქვს საქმე. მკურნალობას ვაგრძელებ და ვიმედოვნებ, მალე ამ უმნიშვნელო ტკივილებსაც დავაღწევ თავს.

**— გუნდის უფროსობა იმედგაცრუებულია, ფიბა-ევროლიგიდან რომ გამოვარდით?**

— არც ისე. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან წლეულს შედარებით სუსტი გუნდი გვყავს, ვიდრე შარშან. ამის გამო მწვრთნელს არ მოხსნიან, სეზონის დასრულებამდე ორთვენახევარი ჩრება.

**— ახლა რა იქნება „დიჟონის“ ორიენტირი?**

— ახლა ჩვენი მთავარი საზრუნავი საფრანგეთის თასია. ეროვნული ჩემპიონატშიც მთელი მონდომებით ვითამაშებთ, თუმც იქ პრიზიორებს შორის მოხვედრა ალბათ ძალიან გაგვიჭირდება.

**— მაშ, თასზე გაქვთ კარგი შანსი?**

— რა თქმა უნდა, თასზე უკეთესი შანსი გვაქვს, რადგან უკვე მეოთხედფინალში ვართ. მეტოქეც ისეთი გვყავს, უკეთესს ვერ ვინატრებთ. მესამე ლიგის ბოლო ადგილზე მყოფი გუნდია, რომელმაც მერვედფინალში უმაღლესლიგელი „ბურგი“ გააგდო. თავად ეს ფაქტი, რომ ჩვენმა მეტოქემ ძლიერი გუნდი შეიწირა, დამაფიქრებელია, მაგრამ მთელი სერიოზულობით მოვეკიდებით მათთან მატჩს და რა უნდა მოხდეს, ვერ ვაჯობოთ.

**— ახალგაზრდულ ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ხარ და ახლახან ამ გუნდს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს...**

— ნუგზარ კანდელაკს ახლოს ვიცნობ და ვიმედოვნებ, ყველაფერს კარგად გაართმევს თავს. მე წავიკითხე მასთან ინტერვიუ და კარგია, რომ ის თითქმის ყველა მეტ-ნაკლებად გამორჩეული მოთამაშის გამოცდას აპირებს. ჩემის მხრივ, მე არაფერს დავიშურებ ნაკრებისთვის. მგონი, არ ვარ ცუდ ფორმაში და რატომ უნდა გამიჭირდეს?!

**ირაკლი პერტაია**

# მადა ირანშიც ჭამაში მოდის

## ფეამი ფინალში სორდიას 33-ით შევიდა



გურამ [illegible] ფოტო

ირაკლი სორდიამ ირანულ ფინალს უწია

**ირანის ჩემპიონატში პლეი ოფი გახურდა და ძლიერთა მარაქაშია ვაკო ბეჟანიშვილისა და კოტე ტუღუშის გუნდიც. თუმც სანამ სპარსეთის საუკეთესო გუნდი გამოვლინდებოდეს, მანამდე პირველი ლიგის ფინალური შეხლაა და „მცირე“ ჩემპიონობის შანსი ირაკლი სორდიასა და ვანო აბულაძის „აზერ-ფეამის“ აქვს. ამ გუნდმა უკვე შეასრულა დასახული მიზანი: საუკეთესო ოთხეულში მოხვდა და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, თუმც მადა ჭამაში მოდისო და „აზერ-ფეამი“ პირველობას ეშურება...**

— მთელი ქალაქი ფეხზე დგას, „აზერ-ფეამიმ“ ფინალს უწია და პირველი ლიგის მოგებამდეც ერთი ნაბიჯიღა გვიკლია — გვითხრა ირაკლი სორდიამ, ირანში რომ შევეხმიანეთ.

**— რომ ვერ მოიგოთ, უმაღლეს ლიგაში ვერ გადახვალთ?**

— როგორ ვერა, სუპერლიგაში ნახევარფინალში გასული გუნდები გადადიან, მაგრამ ახლა მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. სხვას რომ თავი დავანებოთ, ფინალში გამარჯვება ფინანსურად იქნება მომგებიანი.

**— არ ელოდით, რომ ფინალში გახვიდოდით?**

— ჩვენ ოთხეულში გვინდოდა მოხვედრა, პირველობაზე კი ალბათ ცოტა თუ ფიქრობდა. ისე, მინდა აღვნიშნო, რომ ნახევარფინალში მოსახვედრად უფრო მეტი ჯაფა დაგვადგა, ვიდრე იქიდან გასასვლელად. ეს იმიტომ, რომ გამორჩეული ფავორიტი არ იყო. დონე თანაბარია და თითოეული მატჩის მოგებას დიდი ძალისხმევა სჭირდება.

**— გავიგეთ, ფინალში გამსვლელ მატჩში 33 ქულა ჩაგიგდია...**

— მართალია, 33 ჩავაგდე, ვანო აბულაძეს კი 27 ქულა მოუგროვდა. რა მაქვს სატრაბახო, ისედაც ყველამ დაინახა, რომ „აზერ-ფეამი“ ქართველების ძალისხმევით გავიდა ფინალში. მე პერიმეტრიდან ავიკელი „ალვაზის“ კალათი, ვანომ კი სამწამიანიდან.

**— ასეთი წარმატებით თამაშობდით წინა მატჩებშიც?**

— თითქმის ამ დონეზე. „ალვაზს“ სამი მატჩის ჯამში მოვუგეთ და პირველში 21 ქულა ჩავაგდე, მეორეში კი 18. გადამწყვეტი მატჩი ჩვენს მოედანზე გაიმართა, რომელიც 5 ქულით მოვიგეთ.

**— ფინალში ვინ იქნება თქვენი მეტოქე და მოედნის უპირატესობა ვისია?**

— ორი მიმოსვლითი მატჩის შემდეგ ვისაც უკეთესი ბურთების შეფარდება ექნება, გადამწყვეტი შეხვედრაც იმის მოედანზე გაიმართება. ჩვენი მეტოქეა „დანშკა-აზატი“, რომელიც დედაქალაქის გუნდია და თეირანის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა. საკმაოდ სოლიდური გუნდია, თუმც გამარჯვების მეტოქეზე ნაკლები შანსი როდი გვაქვს. „დანშკა-აზატთან“ მეორე ლიგის მატჩში გვითამაშია და ის შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში ერთი ქულით წავაგეთ.

**— ლეგიონერები თუ ჰყავს თქვენს საფინალო მეტოქეს?**

— „დანშკა-აზატში“ არ არიან ლეგიონერები, მაგრამ მას ირანის ახალგაზრდული ნაკრების ორი მოთამაშე ჰყავს, რომლებიც საკმაოდ ტანმაღლები არიან: ერთი 213 სანტიმეტრია, მეორე კი 212. ამის მიუხედავად, ჩვენ მაინც გამარჯვებაზე ვფიქრობთ.

**— ჩემპიონატი რომ დასრულდება, მერე რას აპირებთ?**

— მომავალ სეზონში „აზერ-ფეამი“ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს და გუნდის ხელმძღვანელობა შემადგენლობის გაძლიერებას აპირებს. მე და ვანოს გვეუბნებიან, კვლავ ჩვენთან ითამაშებთო, მაგრამ არ ვიცი, საბოლოოდ რა იქნება. თუ „აზერ-ფეამის“ გაძლიერება უნდათ, სავარაუდოდ ამერიკელებს ჩამოიყვანენ. ჩვენ არ დავრჩებით უგუნდოდ, ირანში მე და ვანოს საკმაოდ კარგი რეკლამა გვაქვს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

28 თებერვალი

**დალასი 90:86 შარლოტი**
დალასი: ნოვიცკი (28 ქულა, 11 მოხსნა), დანიელსი (13)
შარლოტი: ნეილონი (14), ბრაუნი (12)

**ნიუ იორკი 117:115 ლეიკერსი**
ნიუ იორკი: ტ. ტომასი (35), მარბერი (19)
ლეიკერსი: ბრაიანტი (30), ოდომი (26)

**კლივლენდი 92:94 სან ანტონიო**
კლივლენდი: ილგაუსკასი (26), ჯეიმსი (20)
სან ანტონიო: დანკანი (20), პარკერი (19)

**იუტა 87:86 კლიპერსი**
იუტა: მაკლეოდი (18), ბელი (14)
კლიპერსი: საიმონსი (17), მეჯიტი (16)

## საქართველოს XV ჩემპიონატი. მეორე წრე

### თბილისი. ასკ-ს დარბაზი

„ა“ ქვეჯგუფი. 1 მარტი

**სტუ-შევარდენი 32:17 ქარიშხალა**

**სტუ-შევარდენი:** ანდრიაძე, სამყურაშვილი, რუსია (გაიტანა 12 გოლი), კობახიძე (6), ქობულაშვილი (4), ტალახაძე (3), ნადირაძე (2), ამირან ყიფიანი (2), ომარ ყიფიანი (1), ბოყოჩაძე (1), ნიკოლაიშვილი (1), სხირელი, სახვაძე, კვერნაძე

**ქარიშხალა:** სიხარულიძე, ბიჩინაშვილი, ქირია (5), გელა არაბული (4), გრიშიკაშვილი (3), გოგალაძე (2), ბერძენიშვილი (1), საჯაია (1), ქსოვრელი (1), გიორგი არაბული, სიგუა, ჯოხაძე, ქუთათელაძე, ჩხაიძე

*მსაჯები:* ელენე არაბული, გიორგი ბროლაძე

**ხ/კ თბილისი 27:22 თელავი**

**თბილისი:** გარიშვილი, გონჩაროვი, სიორიძე (8), სამარღანიშვილი (6), ჩაჩანიძე (4), არსენაშვილი (3), ფორაქიშვილი (2), გელაშვილი (2), ლესერი (1), სულიკაშვილი (1), ქარდავა, აბულაძე, ქოქოშვილი, ფლენტი

**თელავი:** ტურაშვილი, ბალაშვილი, ჯიშკარიანი (7), ნატროშვილი (5), გიორგელაშვილი (4), მეტრეველი (3), ელიზბარაშვილი (2), ხარებაშვილი (1), არჯევანიძე, ჩიკვაიძე, ხატიაშვილი, არჯევანიშვილი, სიბაშვილი

*მსაჯები:* ვლადიმირ ნეჩაი, ვაგიფ ალიევი



ალეკო ბოყოჩაძე „სტუ-შევარდენს“ დაუბრუნდა

# ისევ აზერბაიჯანელი მსაჯები

**სამთვიანი** საზამთრო დასვენების შემდეგ განახლდა ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული პირველობა. გუშინ თბილისში, არმიის სპორტდარბაზში ბრძოლა დაიწყო „ა“ ქვეჯგუფის ხუთეულმა — ხელბურთის კლუბი „თბილისი“, „სტუ-შევარდენი“, „ქარიშხალა“, „თელავი“, „გორი“.

აღსანიშნავია, რომ პრინციპული მატჩების გასაძღოლად საქართველოს ხელბურთის ეროვნულმა ასოციაციამ კვლავ მოიწვია აზერბაიჯანელი მსაჯები ვლადიმირ ნეჩაი და ვაგიფ ალიევი.

ტური გაიხსნა „სტუ-შევარდენისა“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალას“ შეხვედრით. ცხადია, უცვლელ ჩემპიონებს არ გასჭირვებიათ თამაშის მოგება. შევარდნებს დაუბრუნდნენ პირველ წრეში „ქუთაისისთვის“ ნაბრძოლი ალეკო ბოყოჩაძე, აგრეთვე ვეტერანი ომარ ყიფიანი.

შევსება მიიღო ჩემპიონატის ლიდერმა „თბილისმაც“ ექსშევარდნელ კახა ჩაჩანიძისა და რუს ლეგიონერ გიორგი ლესერის სახით. ლესერი 20 წლისაა, რუსეთის საუკეთესო კლუბ „ჩეხოვსკიე მედვედის“ მეორე გუნდში თამაშობდა, ახლა კი სეზონის ბოლომდე თბილისელთა ღირსებას დაიცავს. იგი შუა ტაიმში გავიდა მოედანზე „თელავთან“ შეხვედრაში, აქტიურად ითამაშა და პირველი ქართული გოლიც მიითვალა.

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 1 | 0 | 287:228 | 19 |
| სტუ-შევარდენი | 9 | 0 | 1 | 347:242 | 18 |
| ქარიშხალა | 6 | 1 | 3 | 298:285 | 13 |
| თელავი | 6 | 0 | 4 | 273:249 | 12 |
| გორი | 0 | 0 | 9 | 193:294 | 0 |



## ჯორდანი

**ედი ჯორდან რეისინგი** დაარსდა 1980 წელს
ფორმულა 1-ში გამოდის 1991 წლიდან
231 რბოლა, 4 მოგება, 2 პოული,
2 უსწრაფესი წრე, 279 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო შედეგი
მესამე ადგილი (1999)
2004 წელს მეცხრე ადგილი (5 ქულა)
გუნდის მეპატრონე **ალექს შნაიდერი**
აღმასრულებელი დირექტორი **კოლინ კოულსი**
სპორტული დირექტორი **ტრევორ კარლინი**
ბოლიდი **„ჯორდან EJ15“**
ძრავა **„ტოიოტა F1“ (V10)**
საბურავები **„ბრიჯსტოუნი“**



**ტიაგო მონტეირო**
**პორტუგალია**
დაიბადა 1976 წლის 24 ივლისს
პორტუში
უცოლო
სიმაღლე 174 სმ; წონა 64კგ
ფორმულა 1-ის დებიუტანტი



**ნარაინ კარტიკეიანი**
**ინდოეთი**
დაიბადა 1977 წლის 14 იანვარს
ჩენაიში
ცოლიანი
სიმაღლე 170 სმ; წონა 62კგ
ფორმულა 1-ის დებიუტანტი



ჯორდან — შნაიდერის გუნდის პრეზენტაცია გაყინულ წითელ მოედანზე შედგა



ალექს შნაიდერი

# რუსკანადელი — როგორც მაშველი რგოლი

**როგორც იქნა,** ეშველა ედი ჯორდანის გუნდს. მართალია, „ყვითელი“ საჯინიბო არასოდეს მდგარა გაკოტრების პირას, მაგრამ ირლანდიელ ბოსს მუდამ აწუხებდა ფულის ნაკლებობა, ხოლო მწირი ბიუჯეტით რა ხეირი უნდა ენახა.

განსაკუთრებით უსახური იყო ბოლო ორი სეზონი — „ჯორდანი“ ორჯერვე ბოლოსწინა, მეცხრე ადგილზე გავიდა. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ედის წამგებიანი ბიზნესის გაყიდვა სურდა.

მშველელი რუსული წარმოშობის კანადელი მილიარდელი ალექს შნაიდერი გახლავთ, რომელიც ჯორდანს თავად ფორმულა 1-ის გამგებელმა ბერნი ეკლსტოუნმა დააკავშირა და ორივ მხარისთვის ხელსაყრელი გარიგებაც უცებ გაიჩარხა. 36 წლის შნაიდერმა „ჯორდანის“ მთელი ავლადიდება 50 მილიონ დოლარად შეიძინა, ორმხრივ სარფიანი ამბავი კი ისაა, რომ ედის პრობლემები მოეხსნა. შნაიდერმაც ერთდროულად ორი კურდღელი მოკლა — უკვე მზამზარეული გუნდი ჰყავს და საქმის ნულიდან დაწყება არ მოუწევს. ამით მან ახალი საჯინიბოს რეგისტრირებისთვის აუცილებელი საწევრო-საგარანტიო შესატანი, 48 მილიონი დაზოგა.

ლენინგრადში დაბადებული შნაიდერი ფლობს ტორონტოში რეგისტრირებულ ტრანსნაციონალურ კორპორაცია „მიდლენდს“, რომელშიც სადღეისოდ 50 ათასი თანამშრომელია და რომელიც მთელ დუნიაზეა მოდებული. „მიდლენდი“ მეტალურგიის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროში საქმიანობს და უზარმაზარი ობიექტები აქვს დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, კანადაში, ჩინეთში, ინდოეთში, რუსეთში, სომხეთში... წლიური ბრუნვა ორ მილიარდ დოლარზე მეტია. ამდენად, სულაც არაა მოულოდნელი, თუ ამხელა გაქანების ახალგაზრდა კაცს, თანაც, თავისივე თქმით, ფორმულა 1-ის ფანატს, საკუთარი საჯინიბოს შექმნის სურვილი გაუჩნდა. გუნდი „სამეფო რბოლების“ ქარავანში 2006 წლიდან უნდა გამოჩენილიყო და, ცხადია, „მიდლენდი“ ერქმეოდა. შასის სახელოვანი იტალიური ფირმა „დალარა“ დაუმზადებდა, ძრავებით კი თვით „ფერარი“ მოამარაგებდა. ჯორდანთან ალიანსმა მოვლენები ერთი წლით დააჩქარა, თუმც შას-ძრავის საგაისო ვარიანტი ძალაში რჩება. გუნდი წლეულს უკანასკნელად გამოვა „ჯორდანის“ სახელით და ბოლიდებს ყვითელი ელფერიც შეუნარჩუნეს.

რუსკანადელ ბოსს რუსული საფორმულო გუნდის შექმნა სურს, ამიტომაც ჰყავს ხელმძღვანელობაში რამდენიმე ყოფილი თანამემამულე, მათ შორის რუსეთის პირველი პრეზიდენტის, ბორის ელცინის შვილიშვილი ბორისი, რომელიც მარკეტინგის დირექტორად დანიშნა. ტესტ-მძღოლია 23 წლის რომან რუსინოვი, რომელიც ზაფხულიდან საგაისო ბოლიდს გახედნის, ორ-სამ სეზონში კი იქნებ ძირითად შემადგენლობაშიც მოიკიდოს ფეხი. ყოველივე ამის გათვალისწინებით იყო, რომ ჯერ ისევ „ჯორდანის“ პრეზენტაცია შნაიდერმა წითელ მოედანზე, ათგრადუსიან ყინვაში მოაწყო.

სხვათა შორის, მისი მოსკოვური ოფისი იქვე ყურის ძირში, ძველ არბატზეა.

შნაიდერი ყოველწლიურად 150 მილიონ დოლარს დაახარჯავს საჯინიბოს, რაც ედი ჯორდანის ბიუჯეტზე თითქმის ორჯერ მეტია. შედარებისთვის, ყველაზე მდიდრები — „ფერარი“ და „ტოიოტა“ სეზონში 300 მილიონზე მეტს „ჭამენ“.

რაც შეეხება გეგმებს, რაკი დებიუტანტები ვართ, გრანდიოზულ მიზნებს არ ვისახავთ. ვეცდებით, შეძლებისდაგვარად ქულები დავაგროვოთ და, რაც მთავარია, შარშანდელ „ჯორდანზე“ სუსტად არ გამოვიყურებოდეთო.

მართლაც, ახალბედა და მხოლოდ დაბალფორმულაში თითოოროლა წარმატებიანი პილოტებით შნაიდერის პირმშო დამდეგ სეზონში ბევრს ვერაფერს მიაღწევს.

**გია ახალაძე**

# ბერძნული პარადოქსი

## ათენელებმა არ იციან, რაში გამოიყენონ ოლიმპიური ბაზები

**ოლიმპიური** თამაშების მასპინძლობა ამა თუ იმ ქალაქს დიდ წინსვლასა და ეკონომიკურ მოგებას უქადის. ამიტომაცაა, რომ ოლიმპიადის სამასპინძლოდ ქალაქები ნემსის ყუნწში ძვრებიან და ლამის ყველა საშუალებით ცდილობენ გამარჯვებას. ათენმაც ბევრი ვნებათაღელვა და გაწბილებაც გადაიტანა, მანამ ოლიმპიური თამაშების მეორედ მასპინძლობის პატივს დაიმსახურებდა. ათენელებმა საამისოდ მშვენიერი სპორტული პაზები ააგებს და მათ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა 9 მილიარდი ევრო დაუჯდათ, რაც დაგეგმილს ორჯერ აღემატებოდა.

ამგვარად, ათენის ოლიმპიადა ამგვარ თამაშობათა ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული სიამოვნება აღმოჩნდა. ბერძნები თავდაპირველად ამაზე სულაც არ წუწუნებდნენ, რადგან ოლიმპიადის მასპინძლობამ ათენი რამდენიმე ათეული წლით დააწინაურა, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ მათ აღარ იციან, რაში გამოიყენონ ეს ძვირადღირებული ოლიმპიური ბაზები. ეს აღიარა საბერძნეთის კულტურის მინისტრმა ფანი პეტრალიამ, რომელიც ათენის ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი იყო.

„მრავალი ქალაქის ხელმძღვანელობა იმთავითვე გეგმავს ოლიმპიური ობიექტების შემდგომი გამოყენების საკითხს, ჩვენ კი დღემდე არა გვაქვს ნათელი წარმოდგენა. ბევრი ნაგებობა იმგვარადაა კონსტრუირებული, რომ მე წარმოდგენაც არ მაქვს, თუ რაში შეიძლება გამოვიყენოთ ისინი“ — თქვა ფანი პეტრალიამ.

ეტყობა, საბერძნეთის მაგალითი უნდა გაიზიარონ იმ ქალაქებმა, რომლებიც მომავალში აპირებენ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას.

**ავთანდილ ტყვიშელი**





ყინულიდან რინგზე ამხტარი ტონია ჰარდინგი (მარჯვნივ)

# ყინულზე მოსრიალებული და რინგზე ამხტარი ჰარდინგი

**ყოფილი** ფიგურულად მოციგურავის, ამერიკის ჩემპიონისა და ოლიმპიელი ტონია ჰარდინგის სკანდალური ისტორიები არა და არ სრულდება. ამ გაჩხიკულ გოგოს მოლიპულ გზაზე ფეხი არაერთხელ მოუსრიალდა და ბოლოს იმდენი ქნა, რომ ფიგურულ ციგურაობაში სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მთავარი ბრალდება ის იყო, რომ ჰარდინგმა ყინულზე მისი მთავარი მეტოქე თანამემამულე ნენსი კერიგანი თავის ყოფილ ქმარს დანით დააჭრევინა, რათა ლილეჰამერის ოლიმპიურ თამაშებზე ბურთი და მოედანი თავად დარჩენოდა. ბოლოს, ეტყობა, რაკი ყინულზე თუ კულისებში ცემა-ტყეპას მიჩვეული იყო, ადგა და პროფესიულ კრივში გადაბარგდა, იქ ოფიციალური შვიდი ბრძოლის გამართვა მოასწრო და მთელ რიგ საჩვენებელ მუშტი-კრივშიც გამოვიდა.

ახლა ტონია ჰარდინგი პროფესიულ რინგზე შოუმენ ტრანსვესტიტ დეიზი დის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადება, მაგრამ ფლორიდის შტატის საკრივო კომისია მათ რინგზე შეხვედრას უკრძალავს.

საქმე ისააო, ნათქვამია კომისიის დასკვნაში, რომ დეიზი დის არავითარი საკრივო გამოცდილება არა აქვს მაშინ, როცა ჰარდინგი ამ საქმეში უკვე გაშინაურებულაო. სხვათა შორის, ტონია ჰარდინგი ახლა თავისი სკანდალური თუ „ყინულოვანი“ წარსულის გამო რინგზე უამრავ მაყურებელს იზიდავს.

ასეა თუ ისე, ტონია ჰარდინგისა და დეიზი დის შეხვედრის ორგანიზატორებს აკრძალვა სულაც არ აშინებთ. ჰარდინგი და დეიზი დი 10 მარტს რინგზე მაინც შეხვდებიან ერთმანეთს და, როგორც დაგეგმილია, მათ მუშტი-კრივი კრივის წესებით კი არა, პროფესიული რესლინგის კანონებით ჩატარდება, რაც ფლორიდის სპორტის დამრეგულირებელი ორგანოების კომპეტენციის სფეროს სცილდება.

„იმ შემთხვევაში, თუ რესლინგის წესებისამებრ მებრძოლი ჰარდინგი არ იქნება მოკრივესავით ეკიპირებული, ბრძოლის პრომოუთერი ამ შემთხვევაში არავითარ წესებს არ დაარღვევს“ — თქვა ფლორიდის საკრივო კომისიის წარმომადგენელმა მეგ შენონმა.

**ავთანდილ ტყვიშელი**



ტონია ჰარდინგი ყინულზე თავისი ზეობის ხანაში





REUTERS დუბაიდან

ვინუს უილიამსი

# კონჩიტას ათასეული

## დუბაის მდედრთა ღია პირველობა

მაგარსაფარი. საპრიზო 1 მილიონი $

### პირველი წრე

**სილვია ფარინა ელია** (იტალია) — **ვინუს უილიამსი** (5, აშშ) 7:5 7:6 (8:6); **კონჩიტა მარტინესი** (ესპანეთი) — **შინობუ ასაგოე** (იაპონია) 6:3 6:4; **სანია მირზა** (ინდოეთი) — **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) 6:7 (2:7) 6:4 6:1; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — **პაოლა სუარესი** (არგენტინა) 6:3 6:1



REUTERS დუბაიდან

კონჩიტა მარტინესი

**სილვია** ფარინას ელიას ვინუს უილიამსთან აქამდე ცხრაჯერ ეთამაშა და ჯამში მხოლოდ ერთი სეტი მოეგო. ახლა კი უწინარესად უფროსი უილიამსის მუცელტრავმისა და მქნეველ ხელზე ამოსხმული ბებერების წყალობით იმარჯვა.

ჰო, რომ არა ამის წინა უქმეებზე ანტვერპენში ამელი მორეზმოსთან ფინალობისას დაჭიმული მუცელი, ვინუსს ეგებ დაბრიყვებული მეტოქე კიდევ ერთხელ დაეჩაგრა, მაგრამ რაკიღა მუცელს ზედ დაბუშტული ხელიც დაერთო, სერენას დაიკოს პირველი წრიდან აბარგება მოუხდა. მის ნაცვლად ოჯახისისთვის სარგებლის მოტანასა ეგევე სერენა ეცდება, ვისაც რამდენიმე კვირაა, არსად უთამაშია და ლინდსი დევენპორტთან, ანასტასია მისკინასა და სვეტლანა კუზნეცოვასთან ერთად საქმეში მეორე წრიდან ჩაერთვება.

ისე, სიტყვამ მოიტანა და, ბარემ აქვე გეტყვით, რომ სერენა და ლინდსი მონაწილეობას მიიღებენ წლევანდელი ფედთასის მეოთხედფინალში, რომელშიც ამერიკა 23-24 აპრილს ბელგიას უმასპინძლებს. საიმდროოდ ბელგებს ეგებ ნაკრებში ჰყავდეთ მათი ორივე ნატრავმალი ჯილა — ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი და, თუ ასე იქნა, ლინდსის და სერენას სწორედ მათთან ჩალიბად (ანუ საერთეულოდ) შეხლა დაევალებათ. ეს ლინდსის მეათე ფედთასობა იქნება და ამ მაჩვენებლით ის უკან ჩამოიტოვებს ცხრაცხრაგზის ნაფედთასევ ლეგენდარულ თვისტომებს — ბილი ჯინ კინგსა და კრის ევერტს.

სხვაფრივ — დუბაობის პირველ წრეში თავისი მე-1000 საკარიერო განდაგანა გამართა 1994 წლის უიმბლდონობის ჩემპიონმა, 32 წლის ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა და მისი ასიათასობით ქომაგის გასახარად საიუბილეო შეხლა დამაჯერებელი გამარჯვებით მოიჩაროზა.

**ლევან ძელაურაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კენიალური გადაწყვეტილება

## სუზან ჩეპკემეის ფედერაციამ უკბინა




**კენიის** მძლეოსნობის ფედერაციამ წლის ბოლომდე დისკვალიფიკაცია მიუსაჯა ლონდონის მარათონის ორგზის მეორეს, სუზან ჩეპკემეის. მიზეზი: ჩეპკემეი ემბუში, კენიელთა საწვრთნელ ბანაკში არ გამოცხადდა. ხსენებულ ბანაკში შეკრებილი კენიელები კროსისთვის ემზადებიან.

„ჩვენ იგი მოვკვეთეთ, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საერთაშორისო შეჯიბრებიდან, — განაცხადა „ათლეტიკს კენიას" პრეზიდენტმა ისაია კიპლაგატმა, — ამ გადაწყვეტილებას ჩვენ გადავცემთ როგორც იააფს, ასევე მთელ მსოფლიოში მოქმედ მძლეოსნობის დიდმოხელეებს".

29 წლის სუზან ჩეპკემეი 2002 და 2003 წლების ლონდონის მარათონში მხოლოდ პაულა რედკლიფს ჩამორჩა, ხოლო შარშან ნიუ-იორკის მარათონშიც ძლიერად იასპარეზა, თუმცა გამარჯვება იქაც დაუსხლტა ხელიდან.

ახლა, დისკვალიფიკაციის გამო, იგი აპრილში, ლონდონის წლევანდელ მარათონში ველარ გაეჯიბრება ზემოხსენებულ რედკლიფს. როგორც ჩეპკემეის სამენეჯმენტო კომპანია „გლობალ სპორტს კომუნიკეიშენმა" განაცხადა, მათ კლიენტს მარტში კროსის მსოფლიოს ჩემპიონატში გამოსვლა ძალიან უნდოდა, მაგრამ ახლა იგი სამაგალითოდაა დასჯილი.

„ამ ნაბიჯზე კენიური სპორტის ღირსების გადასარჩენად მივდივართ, — დასძინა ზემოხსენებულმა კიპლაგატმა, — ჩვენზე ხშირად ამბობდნენ, რომ კბენისთვის საჭირო კბილები არ გვაქვს და სპორტსმენები თავზე გვახტებიან".

გარდა ჩეპკემეის დისკვალიფიკაციისა, კენიის მძლეოსნობის ფედერაციამ სხვა დოკუმენტიც მიიღო. ეს გახლავთ სამგზის ნახევარმარათონის ჩემპიონის ედით მასაის გაფრთხილება, რომ იგიც ისეთივე დისკვალიფიკაციით დაისჯება, თუ დამტკიცდება, რომ კროსის მსოფლიო ჩემპიონატის თავიდან ასაცილებლად ტრავმა გამოიგონა. მასაიმ ფეხის ტკივილი მოიმიზეზა.

**ტუტა სიხარულიძე**

# უცნობი ფაქტი

## ბერძნების საქმე კიდევ გადაიდო

**ბერძნული** სპორტის შეფებმა ცნობილი სპრინტერების, კოსტას კენტერისისა და კატერინა ტანოუს გახმაურებული საქმის განხილვა კიდევ ორი კვირით გადადეს.

შეგახსენებთ, რომ წყვილმა ათენის ოლიმპიადის დღეებში შეჯიბრების წინ დოპინგ ტესტი გააცდინა, რის მიზეზადაც ავტოავარია დაასახელა, ამან კი ეჭვი აღძრა, ვინაიდან ეს გახლდათ კენტერისის და ტანოუს მიერ ორ თვეში გამოტოვებული მესამე ტესტი. თუ დამტკიცდება, რომ სპორტსმენებმა დოპინგ-შემოწმებას განგებ აარიდეს თავი, მათ დისკვალიფიკაცია არ აცდებათ, მაგრამ ამის დადგენა ბოლოწამს გამოვარდნილმა ახალმა ფაქტმა თუ სამხილმა გადაავადა.

„ახლა ვერდიქტს დაახლოებით მარტის შუა რიცხვებში უნდა ველოდოთ — განუცხადა სააგენტო „როიტერს" ვექილმა მიხალის დიმიტრაკოპულოსმა — ბოლო ვადად თებერვლის მიწურული რომ იყო დათქმული, გაუქმებულია".

კენტერისი 31 წლისაა, მან სიდნეის ოლიმპიადაზე 200 მეტრზე რბენაში ოქროს მედალი მოიგო, ხოლო 30 წლის ტანოუმ იმავე სიდნეიში 100 მეტრზე ვერცხლის მედალი დაიმშვენა. ამ ასაკის მძლეოსანთათვის ორწლიანი დისკვალიფიკაცია შეიძლება სამუდამო დისკვალიფიკაციის ტოლფასიც კი იყოს.

შეგახსენებთ, რომ კენტერისისა და ტანოუს საქმეს ორგანიზაციათა გარდა პროკურატურაც იძიებს. რაც იმითაა განპირობებული, რომ სპორტსმენებმა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დოპინგ-ტესტის გაცდენის მიზეზად საგზაო შემთხვევა დაასახელეს.

„საქმის გამოძიება და ვერდიქტის გამოტანა დამოუკიდებელი კომისიის საქმეა, საბერძნეთის მძლეოსნობას ფედერაცია კი მხოლოდ მის რატიფიკაციაზეა პასუხისმგებელი" — განაცხადა ხსენებული ფედერაციის წარმომადგენელმა. დამოუკიდებელი კომისია ამ ფედერაციის მიერ მძლეოსნობას საერთაშორისო ფედერაციის მითითებითაა დანიშნული. მასში ხუთი ადამიანი შედის.

„ისე ჩანს, რომ სპორტსმენების ვექილებს რაღაც ახალი ფაქტი აქვთ წარმოსადგენი და დრო მარტის შუამდე სწორედ ამ მტკიცებების განხილვას დაეთმობა" — დასძინა წარმომადგენელმა.

აღსანიშნავია, რომ განხილვის შემდეგ კენტერისი და ტანოუ გაცილებით თავდაჯერებულები ჩანდნენ, ვიდრე ადრე.

საკუთარ თავში დარწმუნებული გახლავართ და ოპტიმისტურად ვარ განწყობილი — განაცხადა ტანოუმ — ჩვენ ისეთი ფაქტი წარმოვადგინეთ, რომელსაც ისინი არ ელოდნენ".

კერძოდ, რა ფაქტზეა საუბარი, ცნობილი არ არის.

**ტუტა სიხარულიძე**



კოსტას კენტერისი



კატერინა ტანოუ



## ლინარესის სუპერტურნირი

ესპანეთი. 22 თებერვალი — 10 მარტი

**VI ტური**

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) — გარი კასპაროვი (რუსეთი) 0,5:0,5
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) 1:0
პეტერ ლეკო (უნგრეთი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) 0,5:0,5
*მაიკლ ადამსი (ინგლისი) — დაისვენა*




# ლინარესში მასპინძელი დაჩაგრეს

**ფიდეს** პირველ-მეორე ადგილოსნების, რუსი გარი კასპაროვისა და ინდუსი ვიშვანათან ანანდის ჯახი როგორც ამ ტურის, ასევე მთელი სუპერტურნირის მთავარი დაპირისპირება იყო. დიდოსტატებს აქამდე 46 პარტია ეთამაშათ, საიდანაც 15 კასპაროვს მოეგო, 3 — ანანდს, დანარჩენი 28 კი ყაიმით დაესრულებინათ.

მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა ანანდთან თავისი საყვარელი სიცილიური დაცვა არჩია, მე-3 სვლაზე კი პაიკი გაუცვალა ინდუსს და დაფის ცენტრში მხედრები გამოიყვანა. ანანდი მსუბუქი ფიგურებით წავიდა წინ, თან ლაზიერის ფლანგიდან დაარტყა შავებს, A ხაზზე ეტლი გამოუშვა და დიდი იერიშისთვის მოემზადა. მე-20 სვლაზე კასპაროვმა B ხაზზე მდგარი ეტლით ინდუსს კუ ააცალა და გაცვლები დაიწყო. ბრძოლისას ლაზიერის ფლანგი საკმაოდ მოშიშვლდა, მეტოქეებმაც იამაში მარჯვნივ გადაიტანეს, თუმც 30-ე სვლისთვის კასპაროვს დრო საკმაოდ შემოელია და გადაწყვიტა, ტაქტიკა შეეცვალა.

ანანდს, რომელიც სწრაფი აზროვნებით გამოირჩევა, დრო კიდევ საკმაო ჰქონდა და წესით, კასპაროვი მალევე უნდა გაეტეხა, თუმც გამოცდილმა რუსმა ამის საშუალება არ მისცა. ინდუსმა 32-ე სვლაზე პაიკი დაძრა წინ. კასპაროვმა მის შესაჩერებლად მთელ ძალებს უხმო, გაცვლებს მიმართა, ჩასათვლელი ხაზისკენ E ზოლზე მოძრავი პაიკი გაუშვა და 44-ე სვლაზე მეტოქეს მუდმივი ქიში გამოუცხადა. პარტია ყაიმით დასრულდა.

კასპაროვმა ლინარესზე უკვე მეორედ შეძლო თითქმის წაგებული პარტიის შემობრუნება და რომ მოეგო, მისი დამწევი არავინ იქნებოდა.

ზედიზედ მეექვსე ყაიმი ითამაშა ფიდეს ჩემპიონმა რუსტამ კასიმჯანოვმა და ამისთვის პეტერ ლეკოსთან მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა. მადიარი დიდოსტატი ჭკვიანურად თამაშობდა და პარტიის შუაწელში საკმაო უპირატესობასაც დაეუფლა. 46-ე სვლაზე უნგრელს ორი ეტლი და პაიკი ჰყავდა, უზბეკს კი მხოლოდ ეტლები. ამის შემდეგ წესითა და რიგით ლეკოს პარტია უნდა მოეგო, თუმც გონიერი უზბეკი გააქტიურდა, ბოლომდე იბრძოლა და 76-ე სვლაზე ნახევარი ქულა გამოჰგლიჯა უნგრელს.

მეორე გამარჯვება მიითვალა ვესელინ ტოპალოვმა. ბულგარელმა სტომატოლოგმა ყველაზე უსუსურ მონაწილეს, მასპინძელ ფრანცისკო ვალეხოს მოუგო. ესპანელთა ერთადერთ იმედს უკვე სამი წაგება დაუგროვდა და საეჭვოა, ბოლო ადგილისთვის ვინმე შეეცილოს.

**ლუკა გეგეჭკორი**



**32-ე სვლაზე ანანდის პაიკი წინ წავიდა**

| | |
|---|---|
| 1. გარი კასპაროვი (რუსეთი) | 3,5 ქულა/5 პარტია |
| 2. ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 3/5 |
| 3. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 3/5 |
| 4. რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) | 3/6 |
| 5. პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 2,5/5 |
| 6. მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 2/5 |
| 7. ფრანცისკო ვალეხო (ესპანეთი) | 1/5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS პეკინიდან



# ისევ ტანვარჯიში

კვლავაც არ მოგვბეზრდება მოგახსენოთ, რომ ჩინეთი დახუნძლულია სატანვარჯიშო სკოლა-ინტერნატებით და ამიტომაც ტანვარჯიშობაში ოლიმპიური ამბავი არ უჭირს. 1950 წელს დაარსებული პეკინის სახელოვნებო სკოლა კი დიდ ჩემპიონებს არ ამზადებს, ის საცირკო გიმნასტთა სამჭედლოა. თუმცა, ყოფილა, რომ საცირკო სკოლიდან ნამდვილი სპორტსმენ-ჩემპიონი გამოსულა. ისევე როგორც სპორტულ სკოლებში, სწავლა-ცხოვრების პირობები აქაც მკაცრია.





REUTERS პეკინიდან


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ჭოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიპრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge